140
1954/3

F

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული

№ 5
მაისი
1954


ПРОЛЕТАРІ ВСІХ КРАЇН СДНАЙТЕСЯ!
ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН СОЕДИНЯЙТЕСЬ!
УКРАЇНСЬКА РСР

ჰ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 5
მაისი, 1954 წ.
წელიწადი XXVIII

ეროვნული ბიბლიოთეკა



საქ. სსრ. სახ. ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა

5654.

ვალენტინ პიჩკო

რუსეთს

სულ ახლო ხარ, აქვე ხარ,
ცხრა მთას იქით როდი ხარ,
სიმღერებთან, ფიქრებთან
განუყრელად მოდიხარ.
გულისცემაც გეტყოდა,
ზედ რომ ყური მიადო—
ჩვენთან როგორ ახლო ხარ,
რუსთა მხარევ, დიადო!
ჩვენი სახლის სარკმლები
დილიდან საღამომდის
შენ გიცქერენ, რადგან მზე
შენი მხრიდან ამოდის.
შენკენ მოდის ყველა გზა,
დენას რომ არ ათავებს;
ჩვენი ყველა მდინარე
შენგან იღებს სათავეს.
ყველას გულში ჰხატიხარ,
მცირეა, თუ დიდია,
რადგან ძმობა ხალხებთან
შენი გზა და ხიდია.

ჩვენ ოჯახი ერთი გვაქვს,
ძლევის დროშაც საერთო,
რადგან ჩვენი გულები
ერთი მიზნით აენთო.
ერთურთს ვერვინ გაგვყაროს,
ძმას არ დათმობს ძმობილი,
ვდგავართ, როგორც მუხები
ერთურთს გადაჭდობილი.
ბაღს ყვავილი ამშვენებს
და ნაყოფი დასხმული,
ვით ჩვენს ძმობას—გმირული,
სასახელო წარსული.
კიდევ უფრო დიდია
ძმობაც, გამბედაობაც,
რადგან უძღვის ჩვენს ხალხებს
ლენინური თაობა.
ერთურთს ვერვინ გაგვთიშავს,
ძმას არ დათმობს ძმობილი...
ვდგავართ, როგორც მუხები
ერთურთს გადაჭდობილი.

უკრაინულიდან თარგმნა **გრიგოლ აბაშიძემ**

Ი. ᲒᲠᲘᲨᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲡᲐᲖᲔᲘᲛᲝ

შენ, რომელსაც ჩვენი ყოფა
გულს გესობა ნარ-ეკალად,
ნუ თუ არას გაგრძნობინებს
მთაწმინდა და ნარიყალა?

აყვავდა და გაიზარდა
საბჭოეთის დიდი კერა
საუკუნო მეგობრობა
სისხლის ძაფით შეიკერა.

მშვიდობაზე ვმღერით მუდამ,
სიყვარული გვინდა ძმური,
წინ მიგვიძღვის აღთქმის დროშა—
ლენინური! სტალინური!

მითხარ, მტერი რას დააკლებს
თავისუფალ ხალხთა კრებულს?
ვინ შეაკრთობს კრემლის ვარსკვლავს
ლალისფერად გაჩაღებულს?

მისი შუქი გზას გვინათებს,
მისი შუქი **გარს** გვარტყია.
დღეგრძელობა ჩვენს სამშობლოს,
ჩვენს ხალხსა და ჩვენს პარტიას!

Ა. ᲠᲝᲜᲔᲚᲘ

ᲐᲡᲔ ᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ

დნეპრის გაღმა და გამოღმა
არ ცხრებოდა ბრძოლის ალი;
ქარქაშში არ ჩერდებოდა
გმირ კაზაკთა ბასრი ხმალი.

ტრამალებზე კვნესდა ქარი,
ზარი რეკდა მწუხრით სავსე:
— უკრაინავ, უკრაინავ,
განსაცდელი გადგას კარზე!

და კობზარიც ამ ზარის ხმას
უერთებდა თავის კვნესას:
— უკრაინა, უკრაინა,
გმირთა მახვილს ცრემლით ლესავს!

ეს წუხილი ესმა რუსეთს,
მოძმე მოძმეს უძღვნის ამბორს,
და მოსკოვის დიდი ელჩი
ბუტურლინი სიტყვას ამბობს:

— ძმობის ფიცი მოგვიცია,
მეგობრობა გვექნეს მარად,
ორი ხალხის, ღვიძლი ხალხის,
საამოდ და გასახარად!

...დრო გავიდა და მას შემდეგ
ჩაიარა ბევრმა წყალმა,—
დიდ ოქტომბერს უკრაინაც
გულმხურვალედ მიესალმა.

და იქ, სადაც წინაპარნი
სისხლით რწყავდნენ მინდორ-ყანებს,
რა ამბავი, რა ზეიმი
აქვთ ტრაქტორთა ქარავანებს!

კრემლზე ლალის ვარსკვლავები
ამ დიდ ქვეყნის მზითაც ბრწყინავს:
— ჩვენს ტკბილ ძმობას გაუმარჯოს!—
ასე მღერის უკრაინა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათან რიბაკი

ნახ. კ. მახარაძისა

პერეიასლავის რადა

(ნაწყვეტი რომანიდან)

...დილიდან მოღრუბლული იყო. მერე ქარმა გადარეკა ყომრალი ღრუბლების ფარა. შინდისფერი ბაირაღებით მოირთო პერეიასლავი ალიონზე. საზეიმოდ გუგუნებდნენ საეკლესიო ზარები. მზემ ღრუბლებიდან თავი გამოჰყო, თვისი სხივები უხვად გადმოაფრქვია უსპენიეს ტაძარსა და ეკლესიებს, ქუჩებსა და მოედნებს, აციმციმდა და აციგლიგდა სარკმლებზე. ჩამოსულები თუ. მკვიდრი პერეიასლაველები—ყველა საჩქაროდ ქუჩებში გამოეფინა. ქვეითურ კაცს გაუჭირდებოდა გასვლა, მარხილებითა და ცხენებით ხომ, რადა თქმა უნდა, ძნელი იყო და ძნელი.

მხიარულად გუგუნებდნენ ზარები, ხალხს აქეთკენ იწვევდნენ. ყველა ქუჩაში ქვეითი თუ ცხენოსანი კაზაკები დაფის კვრით ხმაჩახლეჩილი გაჰყვიროდნენ:

— რადაზე, ხალხნო, დიდ რადაზე!..

ციხის გალავანზე ასი მებუკე გადმომდგარიყო და ბუკს უკრავდა.

ზეიმია! ზეიმი!

„აღდგომა დღე გეგონება კაცს“, — გაიფიქრა გულიაი-დენმა, რომელიც მოედნისაკენ მიეშურებოდა, სადაც კაზაკები რადაზე უნდა შეყრილიყვნენ.

მან მოიხედა: უამრავი ხალხი მოდიოდა იმის უკან, თითქმის მთელი ქუჩა გაეჭედა ამ მილეთის ხალხს. ერთი ყაყანი და ზრიალი იდგა სუსხიან ჰაერში. ქარი ჩადგა. მხიარული ხმები ყოველ მხრივ გაისმოდა ამ ყინვაში. კინკრიხოზე ქუდმოგდებულმა კაზაკმა მაგრად ჩამოართვა ხელი გულიაი-დენს და აღფრთოვანებულმა უთხრა:

— ეხ, ძმაო, ძლივს არ ვეღირსეთ ამ დღეს! გაგვიმართლა იმედები ბოგდანმა!

— გაგვიმართლა, მაშ!

...მოედანზე უკვე ტევა არ იყო, მაგრამ ხალხი კიდევ და კიდევ ემატებოდა.

ბალღები ხეებზე გასულიყვნენ, სახურავებზე ამძვრალიყვნენ, ღობეებზე დასკუპულიყვნენ. განა მარტო ბალღები...

დილის რვა საათზე შემოჰკრეს დაფს მოედან-

ზე. ყველამ თვალი მიაპყრო შუა მოედანზე ამაღლებულ წითელ მაუდგადაკრულ ფიცარნაგს.

აქ იდგნენ გეტმანის მცველები — ხელშუბიანი კაზაკები, რომელთაც ლურჯი კაბაჩები ეცვათ და ლურჯი ქუდები ეხურათ.

გულიაი-დენი წინ გაძვრა. სუნთქვა გახშირებოდა, პირიდან ორთქლი ამოსდიოდა. როგორც ყველა, ისიც უცქეროდა ფიცარნაგს, თითქო იქიდან უნდა ამოსულიყვნენ გეტმანი და მამასახლისი. ხალხში ხმა დაირხა:

— მოდიან!..

— მოდიან!..

— გეტმანი წინ მოუძღვის!..

— რას ამბობ, ეგ გეტმანი არაა...

— იტყვი რაღა! სწორედ გეტმანია, აბა ვინაა! დაბრმავდი თუ!..

უკნიდან ვიღაცამ ჰკითხა გულიაი-დენს:

— დღეს რა დღეა?

გულიაი-დენმა გაგულისებით ჩაილაპარაკა:

— ვერა ხედავ, თვალს არ გაკლია... კარგი დარია, მზიანი.

— ჩერჩეტო! მე რიცხვს გეკითხები.

— რვაა.

— ჰოდა დაიხსომე: რვა იანვარი ათას ექვსას ორმოცდათოთხმეტისა.

გულიაი-დენმა უპასუხა:

— მე კი დავიხსომებ!..

გეტმანი და მამასახლისი ფიცარნაგზე ავიდნენ. ხალხში ისევ ხმაური შეიქნა.

— აგერ ის, ჩასუქებული — ნოსაჩია.

— ის ვინღაა, თოფუზი რომ უჭირავს?

— ჯელალია. მარცხნივ კი, გეტმანის გვერდით — ზოლოტარენკოა...

— შეხე, ჩემი პოლკოვნიკი პარხომენკოც აქაა...

— აგერ ჩვენი სტაროდუბი...

უფროსმა იასაულმა ლისოვეცმა თოფუზი ამართა. ტომილენკო, უფროსი მეკვერთხე, ხმელნიცკის უკან ამოუდგა და მარჯვენა მხართან კვერთხი დაუდგა.

ხმელნიცკიმ ნაბიჯი გადმოდგა წინ. მოედანზე სული განაბა ყველამ. ნელა მოავლო თვალი გეტმანმა განიერ მოედანს, ზღვა ხალხს, ხეებზე გასულსა თუ სახურავებზე ამძვრალ ბალღებს. „ბალღები ოდესმე მოჰყვებიან...“ — გაიფიქრა მან.

გულიაი-დენს მოეჩვენა, გეტმანმა მიცნოო, და, მისი მზერა რომ დიეჭირა, იგრძნო, რომ ტკბილად აუძგერდა გული. მოედანი უმოძრაოდ გაქვავებულიყო. ხმელნიცკიმ ჩაისუნთქა იანვრის ჰაერი, იგრძნო, გულის სიღრმეში როგორ ჩაწვდა [illegible] სუსხი, და თოფუზი ასწია:

— ძმებო კაზაკებო, პოლკოვნიკებო, იასაულებო, ასისთავებო, ზაპოროჟიეს მეომარნო, მართლმადიდებელნო!

თქვენ უწყით, როგორ დავაღწიეთ თავი, ღვთის წყალობით, ჩვენი საყდრების მდევნელთ, მთელი საქრისტიანოს შემაშფოთებელთ. აგერ ექვსი წელია, გაუთავებელ ომებში ვართ, უხელმწიფოდ. იმიტომაც შევყარეთ ჩვენ სადღეისოდ რადა სახალხო, რათა ჩვენ თავად ამოვირჩიოთ ხელმწიფე ოთხი მეფიდან, რომელსაც ისურვებთ. თურქეთის მეფე თავისკენ გვიწვევს, ჩემი ქვეშევრდომები გახდითო, განუწყვეტლივ გვიგზავნის ელჩებს. მეორე — ყირიმის ხანი — იგივეს გვითვლის. მესამე — პოლონეთის მეფე გახლავთ. მეოთხეს კი ჩვენდა თავად ვთხოვთ და გვინდა იმისი დიდებული ხელი გვფარვიდეს. ესაა მეფე ჩვენი მოძმე ხალხისა, დიდი რუსი თვითმპყრობელი — ხელმწიფე ალექსეი მიხაილოვიჩი. იქაა ჩვენი მშობლიური მიწა და ჩვენი ძმები, ვისთანაც ერთად, მხარდამხარ, არა ერთგზის დაგვიცავს რუსთა მიწა და რომელნიც ბოროტ მტრებს არ მიგვცემენ შესაბღალად და დასაჩაგრად.

თურქეთის მეფე ბუსურმანია. ყველამ უწყით, როგორ დევნის ის რჯულს ჩვენსას და რა თრევასა და ტანჯვაში არიან ჩვენი ძმები ამის სამფლობელოში. თათართა ხანი იმას არ ჩამოუვარდება... მოიგონეთ დღეს ყოველივე ბოროტება და მწუხარება, რაიც პანებმა ჩვენს ხალხს აგემეს... თავადვე უწყით!

მართლმადიდებელი მეფე, დიდი ხელმწიფე ალექსეი მიხაილოვიჩი ჩვენსავით ერთი ღვთისმოსავი კანონისაა, ერთი მართლმადიდებელი რწმენისა. დიდმა ხელმწიფემ, რა ნახა ჩვენი ხალხის ტანჯვა-წამება, შეიწყნარა ჩვენი თხოვნა, გამოგვიგზავნა ელჩები, რათა თვის დიდებულ კალთას შეგვაფაროს, უკეთუ ამას რადა გადაწყვეტს. ჩვენი ძმები იარაღითაც მოდიან ჩვენთვის ხელის გასამართად. დაე იცოდნენ ვარშავამ, სტამბოლმა, ბაღჩისარაიმ, ვენამ, რომმა და სხვა სატახტო ქალაქებმა, სადაც ჩვენთვის ავი საქმე განუზრახავთ, რომ რუს ხალხთან შეერთებით ჩვენ უძლეველნი და მიუვალნი ვიქნებით.

ხოლო უკეთუ ვინმე ამ რადაზე ჩვენი თანახმა არ გახდება, იმას ახლა, საითაც უნდა, გზა ხსნილი აქვს!..

— გვწადიან მართლმადიდებელი მეფის ხელქვეითობა! — ზედ ყურის ძირში დასჭექა ვიღაცამ გულიაი-დენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აგრე იყოს! — შესძახა მთელი ხმით გულიაი-დენმა და იმავე წუთში დაინახა თავის ახლოს ნეჩიპორ გალაიდა, დაიჭირა იმისი მხერა და კიდევ ხელახლა შესძახა:

— აგრე იყოს!

— აგრე იყოს! — ისმოდა გუგუნი მთელ მოედანზე და გაზაფხულის ნიაღვრებივით ეფინებოდა ქუჩებს, სადაც გვერდიგვერდ მიეჭეყილი იდგა ხალხი.

— გვწადიან! — ჭექდა ერთ ძლიერ ხმად მოედანი.

ხმელნიცკიმ პოლკოვნიკებს მოხედა. მყის წარმოუდგა თვალწინ ექვსი წელი ბრძოლებში და შიშში გატარებული. სწრაფად იბრუნა პირი მოედნისაკენ, რომელიც ყვირილით შეძრულიყო, ასწია თოფუზი და ისე დასჭექა, როგორც უჭექია ხოლმე ბრძოლის ველზე ამ ექვსი წლის მანძილზე:

— მაშ სამარადჟამოდ ვიყოთ რუს ხალხთან ერთად!

ამის პასუხად ათას გულს გრგვინვასავით ერთად აღმოხდა:

— ვიყოთ!

ამ სიტყვებში ბოგდან ხმელნიცკიმ ახლა არა მარტო დიდი რადას ხმა გაიგონა, — ასე ეგონა, მთელმა უკრაინის მიწამ, კარპატების მწვერვალებიდან შავ ზღვამდე მოყოლებული, მტკიცედ და ურყევად თქვა:

— ვიყოთო!

...გეტმანმა ხელი აიქნია, და მთელმა მოედანმა კვლავ გატრუნა სული.

... გეტმანმა ხელი აიქნია, და მთელმა მოედანმა კვლავ გატრუნა სული.

— და იმიტომ, რომ ამიერიდან ჩვენ უფრო ძლიერნი გავხდით, ჩვენი მტრები უფრო გაბოროტდებიან. ახლა მარტო იმას კი არ განიზრახავენ, რომ უღელში გაგვაყოფინონ თავი, იმასაც შეეცდებიან, რომ ჩვენს მოძმე რუს ხალხს მოგვწყვიტონ, რათა მარტონი დავრჩეთ, რათა ხელახლა იბატონონ ჩვენს მიწა-წყალზე, ყმად გაგვიხადონ, მასხრად აიგდონ ჩვენი ქვეყანა და ყოველ მხრივ ლაფი დაასხან. მაგრამ ჯერ არაოდეს გავსულვართ ომში ჩვენ ასეთი ძალებით, ასეთი ზიზღით არაოდეს გვიფიქრია ჩვენს მტრებზე, ვინაიდან ჩვენ მხარში გვიდგას რუსი ხალხი, ჩვენი ძმა სისხლითა და რჯულით, ქომაგად გვყავს მოსკოვი, სატახტო ქალაქი მთელი სლავური მიწებისა. და რათა მშვი-

დობიანი ცხოვრება მოუპოვოთ ჩვენს ქვეყანას, ბრძოლით უნდა ვაიძულოთ მტერი დატოვოს ჩვენი მიწა-წყალი, ფიქრიც კი დაივიწყოს ჩვენი ქვეყნის დამონებაზე. ამიერიდან მიუვალნი და ქედმოუხრელნი ვიქნებით!

ხმელნიცკიმ სწრაფად ამოიძრო ქამრიდან თოფუზი, დასავლეთისაკენ გაიშვირა და შესძახა:

— გვიფრთხილდით, მტრებო! სიკვდილი რუსეთის მიწის დაუძინარ მტრებს!

— სიკვდილი! — იგრიალა პასუხად მოედანმა.

იელვა ჰაერში ქარქაშიდან ამოძრობილმა ხმლებმა. ზღვა თავებზე აიმართა ასობით შუბი და ჯაზარი.

ჰიხვინი შექნეს მრისხანე ხმებით დამფრთხალმა ცხენებმა.

ხმელნიცკიმ გაიცინა და თოფუზის ქნევით დაიძახა:

— ჩვენს პერეიასლავში ზარები ისე რეკენ, რომშიც გაიგონებს კაცი. იცეკვონ ახლა პაპმა და მისმა იეზუიტებმა...

მან ნაბიჯი უკან გადადგა, იმავ წამს შემოეხვივნენ გარს პოლკოვნიკები.

ტეტერია და ზოლოტარენკო მსუბუქად ჩამოხტნენ ფიცარნაგიდან. ქვემოთ მათ შეუერთდა პერეიასლაველი პროტოპოპი მღვდლებითურთ; ხელში ჯვრები ეკავათ, ოთხი ასისთავისა და ოთხი იასაულის თანხლებით აუჩქარებლად უვლიდნენ რიგებს და დინჯად ეკითხებოდნენ:

— გწადიათ თუ არა მოსკოვის მეფის ხელქვეითობა? გწადიათ თუ არა ამიერიდან განუყრელი ვიყოთ რუს ხალხთან?

— გვწადიან!

— გვწადიან!

— დაე ერთნი ვიყოთ, საუკუნოდ ერთად ვიყოთ!

— ღმერთო, შენ განუმტკიცე! — მტკიცედ და ზეიმით პასუხობდნენ კაზაკები, ამქრები და მდაბიონი.

...ასე ფიქრობდა თავისას ყოველი მათგანი მოედანზე, როცა ტაძრიდან გეტმანისა და მამასახლისის გამოსვლას ელოდნენ მეფის ელჩებთან ერთად.

დიახაც ჰქონდათ მოსაგონარი და ჩასაფიქრებელი, რადგან იცოდნენ, რომ ამიერიდან ახალ გზას ადგებოდნენ. და რაკი ასეა, მაშ იცოდე რას იტოვებ უკან და რით გაუდგები ახალ გზას...

ვინ მოსთვლის, რამდენი ლაშქრობა მოუწყვიათ ზღვაზე! სტამბოლს მიადგნენ, კიზიკერმენზე და კაფზე იყვნენ, აზოვის ციხე დონელებთან ერთად აიღეს. შიში აპამეს თურქებსა და თათრებს! მაგრამ ნუთუ მთელი სიცოცხლე ომში უნდა გაატარონ! სადა ჰყავთ ცოლები? სადაა ბავშვები და დები? სადაა შვილები? ვინ მოსთვლის, რამდენი ახლობელი და ძვირფასი ადამიანი მოსწყვეტა გულს და დაუღუპა გაუმაძღარმა ომმა იმათ, ვინც ახლა პერეიასლავის მოედანზე დგას? რამდენია პატივაყრილი და წამებული? ღმერთო! და აი ძლივს დავდგებით ამიერიდან მხარდამხარ მოსკოვის მეფის ლაშქართან, რათა დავიცვათ მშობელი ქვეყანა, რჯული და ტანჯული მამული.

გული ევსებოდა ხალხს რწმენისა და იმედის გრძნობით — ამას უმტკიცებდა მას ეს დიდი რადა. 1654 წლის რვა იანვარს გეტმან ბოგდან ხმელნიცკის მიერ მოწვეული.

...იმ სახლის ეზოდან, რომელიც ტრუბეჟს გადაჰყურებდა და სადაც მოსკოვის დიდი ელჩები იდგნენ, ყიჟინით გამოაჭენეს ცხენები მხედრებმა:

— გზა! გზა, მოსკოვის მეფის დიდ ელჩებს!

ხიფთანგახსნილმა კაზაკმა შესძახა:

— შეხეთ, ძმებო, ელჩები მოდიან...

— მოდიან!

— მოდიან!

ხალხი, თითქო ორად გაპობილი, აქეთ-იქით მიაწყდა, ტრუბეჟის ნაპირებიდან ორ ნაკადად გაემართა ბაკისაკენ.

მწყობრის თავში მომავალმა მემუსიკეებმა საკრავები დაუკრეს, იმათ შვიდ წყებად მოჰყვებოდნენ მხარზე გადაკიდებული ორუზეებით სტრელცები, რომელთაც ტყავის შავ ყაითნიანი წითელი ხიფთანები ეცვათ, თავზე შინდისფერი მაუდის წოწოლა ქუდები ეხურათ, ზემოდან ბეწვმოვლებული. ტარსიკონის წაღებზე გრძელი დეზები ეკეთათ. ელავდა ზურგზე გადაგდებული შუბნაჯახები. ზორბა და მხარბეჭიანი ვაჟკაცები მაგრად ამიჯდენ ფეხს და, როცა მემუსიკენი დადუმდნენ, ხალხს ესმოდა, როგორ ხრაშუნობდა იმათ წაღებქვეშ თოვლი.

...და ხმელნიცკიმ, განთქმულმა თვისი სიმკაცრით, მამასახლისთა შორის ცნობილმა თვისი მტკიცე, შეუბრალებელი ხელით, სიმამაცით მტრისათვის ზარისდამცემმა და კაზაკის ხმალივით მახვილი გონების პატრონმა, მან, რომელსაც ვატიკანმა დიდი ხანია უსაშინელესი წამებით სიკვდილი გადაუწყვიტა, მან, რომელზეც მოსისხლე მტრები და გველაძუა მტერმოყვრები ამბობდნენ, გული არა აქვსო, — ცრემლების მლაშე გემო იგრძნო პირში.

აგერ უკვე სულ ახლოს მოვიდნენ მოსკოველი ელჩები. უფროსი მამასახლისის თანხლებით ხმელნიცკი იმათ შესახვედრად დაიძრა.

ბუტურლინმა სტოლნიკს დროშა ჩამოართვა და გეტმანს მიმართა:

— მისმა უდიდებულესობამ მეფემ ალექსი მიხაილოვიჩმა, დიდმა თავადმა და რუსთა თვითმპყრობელმა, გიბოძა შენ ესე დროშა, ღვთისმოსავო გეტმანო. მეფის ამ დროშაზე მაცხოვრის სახეა უკვდავყოფილი, რათა ყველა მტერზე გამარჯვება მოგიპოვოს შენ.

ხმელნიცკიმ ორივე ხელი ჩაავლო ტარს, ეამბორა ოქრომკედით ნაკერ მოალისფრო-ლაჟვარდისფერ დროშას, რომლის ერთ მხარეს მაცხოვრის სახე იყო გამოსახული, მეორეზე კი ღვთისმშობლისა — და უფროს მეკვერთხეს ტომილენკოს გადასცა.

ბუტურლინმა წითელი ბალიშიდან აიღო ქუდი, გეტმანს გადასცა და თქვა:

— შენ, ღვთისაგან დიდი ჭკუით დაჯილდოებულს, შთაგონებულს შენი ხალხის სიცოცხლისა და რჯულის დასაცავად, გიბოძა ქუდი ესე მისმა უდიდებულესობამ, რათა უფალმა მარად გამყოფოს მრთელი, რათა შენი ხალხისა და ქვეყნის ბედნიერებაზე იზრუნო მარად.

გეტმანმა ქუდი ჩამოართვა, ტუჩზე მიიდო და დაიხურა.

თოფუზი რომ გაუწოდა გეტმანს, ბოიარინმა ისე აუმაღლა ხმას, რომ ყოველი სიტყვა მკაფიოდ ისმოდა მოედანზე.

— გიბოძა რა ესე თოფუზი კეთილმორწმუნე და ქრისტესმოყვარე ხელმწიფემ ჩვენმა, მეფემ და დიდმა თავადმა ალექსი მიხაილოვიჩმა, სრულიად რუსეთის თვითმპყრობელმა, გამოგიგზავნა იმად, რომ შენს ხელქვეით იდგეს ძლიერ რიგებად მამაცი ჯარი, არ მისცეს ნება შენი მშობელი ქვეყნის, ხალხის, რჯულისა და სიცოცხლის შეგინებისა და პატივაყრისა შენს მოსისხლე მტერს, ვითარცა უწმინდურ აფთარს, რათა ამ თოფუზქვეშ, შენს ქვეყანაში, ჩვენი დიდი მეფის სკიპტრას შეფარებული ხალხის სვებედნიერი და მშვიდობიანი ცხოვრება სუფევდეს.

ხმელნიცკი ეამბორა თოფუზს და მარჯვენა ხელით მაგრად ჩაბღუჯა.

მეფის მსახურებმა გეტმანის წინ თავი დაბლა დახარეს, სიასამურის ბეწვები პარმაღზე აიტანეს და ყველას დასანახად გეტმანის იასაულებს გადასცეს.

ხმელნიცკიმ ერთი ნაბიჯი კიდევ გადადგა ბოიარინისაკენ.

— ღმერთია მოწამე, — თქვა მან აღელვებულმა, — და მთელმა ჩემმა ხალხმა იცის, რომ მრავალი წელი გვიბრძოლია ჩვენ მოსისხლე მტრებზე გამარჯვების მოსაპოვებლად და ოცნებად მხოლოდ ის გვქონია — რუს ხალხთან ერთად ვყოფილიყავით ერთ სახელმწიფოსა შინა. აღსრულდა ჩვენი ზრახვა.

დაჰკრეს ბუკებს.

გეტმანი, ბოიარინი ბუტურლინი, საბჭოს მდივნები, სტოლნიკები, უფროსი მამასახლისი და პოლკოვნიკები მოედნიდან დაიძრნენ. გეტმანის სახლის მაღალ კარებში ერთიმეორეს მიყოლებით მიიმალნენ.

პარმაღზე დარჩნენ მცველები. მათ ირგვლივ კიდევ დიდხანს იდგნენ ცნობისმოყვარე კაზაკები იმის მოლოდინში — ვინძლო ვინმე მამასახლისი ან ელჩი გამოვიდესო პარმაღზე.

სტრელცები და კაზაკები ბაკებში წავიდნენ პერეიასლაველებთან. ყოველ სახლში შემწვარ-მოხრაკულის სუნი იდგა. ნესტოებს აღიზიანებდა თაფლისა და გამთბარი არყის სუნი. ისმოდა ხმამაღალი შეძახილები, სიცილი და სიმღერები.

თარგმნა **რუსუდან ქებულაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსებ ნონეშვილი

სამაისო

მოხვედი და მთაბარი
ვარდ-ყვავილით აივსო,
ვაშა შენს მობრძანებას,
საყვარელო მაისო.
სამაისო დროშებით
ცის ლაჟვარდებს ვეხებით.
მოგვიძღვიან გუნდ-გუნდად
ფრთახატული მერცხლები.
სიხარული ზეიმობს,
მზე დროშებში კაშკაშებს,
სალამი ჩვენს ქალ-ვაჟებს,
სახელოვან ვაჟკაცებს.
რუსი, უკრაინელი,
ქართველი თუ უზბეკი
მოვიმღერით, მოვდივართ,
მოგვაქვს გული უდრეკი.
ჩვენი წრფელი სალამი
რუს ხალხს – ხალხთა მეგობარს,
ის ომის ცეცხლს პირველი
მკერდით გადაეღობა.
შრომის დროსაც ალალი
თავდადება გვაჩვენა.
ბარაქალა მის საქმეს,
მის მადლიან მარჯვენას.

მოძმე უკრაინელებს
ჩვენი წრფელი სალამი;
გვიყვარს მათი მარჯვენა,
მათი გული ალალი.
დაე ჩვენი გუგუნი
მათ ველმინდვრებს გადასწვდეს;
მივულოცავთ რუსეთთან
შეერთების სამას წელს.
კიდითკიდე გუგუნებს,
კიდითკიდე მიღელავს
ხალხთა ძმობის, სიცოცხლის
და მშვიდობის სიმღერა.
შორით იმეორებენ
ამ სიმღერას ქედებიც,
და ცის თალზე მშვიდობას
ფრთებით წერენ მტრედები.
მაისია, ვუსმინოთ
მთების აგუგუნებას.
მაისია, აყვავდა,
გაიღვიძა ბუნებამ.
...მოხვედი და მთაბარი
ვარდ-ყვავილით აივსო.
ვაშა შენს მობრძანებას,
საყვარელო მაისო!

ვახტანგ გორგაძელი

წერილი უკრაინელ პიონერებს

გახსოვთ, სოხუმი, შავი ზღვა,
წყნარი ლივლივი ტალღების,
ნაპირზე ჩვენი გაცნობა,
შრიალი მწვანე ბალების.
ათასნაირი ამბები,
ჩანჩქერი, მთები, გზაწვრილი?
ჩვენ სიყვარულით შევხვდით და
ჩვენ სიყვარულით დავცილდით.
და ახლა, როცა ზეიმობთ,
დროშებით ბრწყინავს მაისი,
ბედნიერების ჰანგებში
ჩვენი სიმღერაც გაისმის.

გამარჯვებულნი მოდიხართ
ხელიხელ გაღაჭდობილნი.
ეგ თქვენი ძმური კავშირი
მრავალ ცეცხლშია წრთობილი.
ეგ თქვენი უძლეველობა
გმირობამ დაადასტურა.
ურთერთის მეგობრობაში
სამასი წელი გასულა...
მსოფლიო შემოიარე
ძმობის სიმღერავ, ნაქებო,
თქვენი ზეიმის ნათელი
ჩვენც გვადგას, ამხანაგებო.

რა გადაწყვიტა საკავშირო ალკკ XII ყრილობამ

პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ

მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჩვენი ქვეყნის ბავშვებისადმი. ხალხი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კომკავშირელებისა და კომუნისტების ღირსეული ცვლა აღზარდოს მოზარდი თაობისაგან.

სსრ კავშირში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი სწავლა. პარტიამ ამოცანად დაისახა, რომ უახლოეს ხანში ყველა საბჭოთა მოქალაქეს შეეძლოს დაამთავროს საშუალო სასწავლებელი და შემდეგ თავისუფლად ამოირჩიოს რომელიმე სპეციალობა.

სახელმწიფო დიდ თანხებს ხარჯავს ნორჩი თაობის განათლებასა და აღზრდაზე. მარტო გასულ, 1953 წელს, ამ საქმეზე 62 მილიარდ 89 მილიონი მანეთი დაიხარჯა. უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში 11 ათასი სკოლა აშენდა, რომელშიც 2 მილიონი ბავშვი სწავლობს.

საბჭოთა ბავშვებს ყველაფერი აქვთ: პიონერთა სასახლეები და თეატრები, სტადიონები და ბავშვთა ტექნიკური სადგურები, პარკები, საბავშვო რკინიგზები. მხოლოდ ისღაა საჭირო, რომ ისწავლონ, განავითარონ თავიანთი ნიჭი!

ამაზე იყო ლაპარაკი საკავშირო ალკკ XII ყრილობაზე მოხსენებაში „ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის შესახებ", ამასვე ლაპარაკობდნენ ყრილობაზე გამოსული დელეგატებიც.

კომუნისტურმა პარტიამ, რომელიც წარმართავს ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მთელ საქმიანობას, ლენინურ კომკავშირს საპატიო დავალება მისცა — ყოველდღიურად გაუწიოს ხელმძღვანელობა ნორჩ პიონერთა ცხოვრებასა და მუშაობას. კომკავშირი ღირსეულად უძღვება ამ საქმეს. თავისი არსებობის ოცდათორმეტი წლის მანძილზე პიონერული ორგანიზაცია ნორჩ ლენინელთა მრავალმილიონიან, ერთსულოვან ოჯახად გადაიქცა. კომკავშირი კომუნიზმის დიადი საქმის ერთგულ თაობად ზრდის პიონერებს.

საკავშირო ალკკ XI ყრილობისა და კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის შემდეგ პიონერული ორგანიზაციების ცხოვრება უფრო საინტერესო, უფრო შინაარსიანი გახდა.

ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მიღებულ თავის რეზოლუციაში კომკავშირის XII ყრილობამ ეს წარმატებები აღნიშნა და მასთან ერთად აღნიშნა პიონერულ საქმეებში არსებული ნაკლოვანებებიც.

ჯერ კიდევ ყველა პიონერი როდი სწავლობს კარგად. ზოგიერთი პიონერული ორგანიზაცია კი ამას ურიგდება. ისინი არა მქმნიან საზოგადოებრივ აზრს ზარმაცებისა და ანცების გარშემო, არ უნერგავენ ბავშვებს სწავლისადმი ნებისყოფას,

ბეჯითობას. ის რაზმეულები, რომელნიც მაღალი აკადემიური წარმატებისა და დისციპლინისათვის იბრძვიან, ყოველთვის ვერ აკეთებენ ამ საქმეს უნარიანად: მხოლოდ დაუსრულებლად „ამუშავებენ“ დანაშაულის ჩამდენებს შეკრებებსა და სხდომებზე.

ზოგიერთ რაზმში აკადემიური წარმატების აღრიცხვა სწარმოებს. ამას კი პიონერული ორგანიზაცია არ უნდა აკეთებდეს.

უკანასკნელ ხანს ბევრ რაზმში ტარდება ეგრეთწოდებული აგნობრივი შეკრებები, რომლებზედაც ბავშვები სავარჯიშოებს ასრულებენ, მაგალითებს ხსნიან, გავლილ მასალას იმეორებენ. ამრიგ ად, შეკრებები გაკვეთილებს ემსგავსებიან. არ არის პიონერული რაზმის დასმარება მასწავლებლიადმი. რაზმი პიონერებს უნდა უნერგავდეს მეცნიერებისადმი სიყვარულსა და ინტერესს, ბავშვებს უნდა ასწავლიდეს თავიანთი სასკოლო მოვალეობის კეთილსინდისიერ შესრულებას.

რაზმებსა და რაზმეულებში ხშირად უნდა იმართებოდეს ნორჩი მათემატიკოსების, ფიზიკოსების, ქიმიკოსების, ნატურალისტების კონკურსები, ოლიმპიადები, უნდა ეწყობოდეს გამოფენები.

ყრილობამ კომკავშირულ ორგანიზაციებს დაავალა დაეხმაროს სასწავლო-საცდელი ნაკვეთების მოწყობაში იმ სკოლებსა და საბავშვო სახლებს, სადაც ასეთი ნაკვეთები ჯერ არ არის. პიონერულ ორგანიზაციებს რჩევა მიეცა მოაწყონ ხოლმე საუკეთესო მებაღის, მეყვავილის, მებოსტნის კონკურსები, აგრეთვე დღესასწაულები: ფრინველის დღე, ტყის დღე, ბაღის კვირეული, მოსავლის, ყვავილების დღესასწაული.

ჯერ კიდევ ცოტა რიდია ჩვენში ისეთი პიონერი, რომელიც თავისი ყოფაქცევით არცსვენს წითელ ყელსახვევს, ცუდად იქცევა, უხეშად ელაპარაკება უფროსებს, უპატივცემულოდ ეკიდება შრომასა და სოციალისტურ საკუთრებას.

ასეთი ბავშვები კარგ, კეთილშობილ, მათთვის ახლოველ და გასაგებ მაგალითებზე უნდა იზრდებოდნენ. მთავარი კი იქნება — ისე მოეწყოს საქმე, რომ ბავშვებს ანცობაზე ფიქრის დრო არა რჩებოდეთ, რომ ისინი საერთო სასარგებლო პიონერული საქმით იყვნენ გართული.

პიონერები ჩაბმული უნდა იქნან სასკოლო კაბინეტებისა და სასპორტო მოედნების მოწყობაში, სკოლის რადიოფიკაციაში...

პიონერები მოვალენი არიან ოჯახში დაეხმარონ თავისიანებს.

მნიშვნელოვან პიონერულ საქმიანობას წარმოადგენს თემურული მუშაობა. ყველა პიონერული რაზმი უნდა უწევდეს დახმარებას დიდ სამამულო ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს, ინვალიდებსა და ღრმა მოხუცებს.

პიონერი ფიზიკურად ჯანმრთელი და გამოწრთობილი უნდა იყოს. პიონერულ ორგანიზაციაში ყოფნის დროს მან უნდა შეითვისოს სალაშქრო ცხოვრების ჩვევები და ჩაიბაროს ნორმები „იმში“ ნიშანზე.

პიონერები თავიანთი ორგანიზაციის ბატონ-პატრონები არიან. მაგრამ ეს წესი ხშირად ირღვევა: ბავშვების მაგიერად ყველაფერს დიდები წყვეტენ და აკეთებენ. არც ის არის სწორი, რომ ზოგიერთ რაზმსა და რაზმეულში შეკრებები პიონერხელმძღვანელისა და მასწავლებლების მიერ წინასწარ დაწერილი გეგმების და „სცენარების“ მიხედვით მიმდინარეობს. ბევრ რაზმეულში დაივიწყეს, რომ საზეიმო ხაზზე პიონერული დროშა უნდა გამოიტანონ, რაზმში ხშირად [illegible]ნდ საყვირის წკრიალა ხმას და დოლის რაკრაკ[illegible]

კომკავშირულ ორგანიზაციებს ყრილობამ დაავალა მოაწესრიგონ პიონერული აქტივის სწავლება, მედოლეების, მესაყვირეების, ფიზკულტურის ინსტრუქტორების მომზადება.

ყრილობამ აღნიშნა, რომ პიონერები შეკრებებზე უნდა სწავლობდნენ სიმღერებს, დგამდნენ პიესებს, მსჯელობდნენ წიგნებზე.

პიონერულ ცხოვრებას უფრო საინტერესოს გახდიან შეჯიბრებები ტექნიკაში, სპორტში, მხატვრულ თვითშემოქმედებაში, ნორჩ ნატურალისტთა მუშაობაში. ყრილობამ გადაწყვიტა შემოიღოს საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერული ორგანიზაციის საპატიო წიგნი, რომელშიც ჩაიწერება საუკეთესო პიონერებისა და პიონერული მუშაკების, საუკეთესო რაზმებისა და რაზმეულების სახელი. ასევე გადაწყვეტილია დაწესდეს ნიშნები: „ნორჩი ნატურალისტი“, „ნორჩი ტექნიკოსი“, „ნორჩი ტურისტი“.

უფროსი პიონერხელმძღვანელები, რომელთაც კარგად იმუშავეს სკოლაში სამ წელზე მეტი ხნის განმავლობაში დაჯილდოებული იქნებიან საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სამკერდე ნიშნით „საუკეთესო პიონერხელმძღვანელის“.

საკავშირო ალკკ XII ყრილობამ საბჭოთა კავშირის ნორჩ პიონერებს მოუწოდა ბეჯითად დაეუფლონ ცოდნას, აქტიური მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ მუშაობასა და საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, ემზადონ იმისათვის, რომ გახდნენ კომუნისტური საზოგადოების მშენებელნი.

* * *

კომკავშირის XII ყრილობას დედაქალაქის ნორჩი პიონერები მიესალმნენ. პრეზიდიუმის მაგიდასთან ადიან მესაყვირეები, საზეიმოდ ყელრენ საყვირები. გაისმის დოლების რაკრაკი, ბავშვთა ორკესტრი პიონერულ მარშს ასრულებს.

დელეგატები მალიმალ ტაშით უპასუხებენ ლექსად თქმულ მისალმებებს, რომლებითაც პიონერები აღწერენ თავიანთ სასიცოცხლო ცხოვრებას, სწავლას, საქმიანობას, ლაპარაკობენ თავიანთ ნაკლოვანებებსა და სურვილებზე.

გიორგის დარბაზში მოწყობილი იყო იმ საჩუქრების გამოფენა, რომლებიც უცხოეთის ახალგაზრდობის დელეგატებმა მიართვეს საკავშირო ალკკ XII ყრილობას.

ყრილობას მიესალმნენ კორეის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, იტალიის, უნგრეთის, ინდოეთის, ალბანეთის, ბრაზილიის, მონღოლეთის, ფინეთის, ავსტრალიის, შვეიცის, კანადის, ბელგიის, საბერძნეთისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

* * *

საკავშირო ალკკ ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ, 26 მარტს, უკანასკნელ სხდომაზე ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამბ. შელეპინმა ყრილობა დახურულად გამოაცხადა.

დელეგატები და სტუმრები მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“ და მსოფლიო დემოკრატიული ახალგაზრდობის ჰიმნს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საკავშირო ალკკ
ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ

დებულება

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია არის მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს საბჭოთა კავშირის მოსწავლეებს.

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია მუშაობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. კომუნისტური პარტიის დავალებით პიონერთა ორგანიზაციის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი.

ნორჩი პიონერები საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის ცვლაა. თვითეული პიონერი ისწრაფვის გახდეს საკავშირო ალკკ წევრი. პიონერული ორგანიზაცია ამზადებს პიონერებს საკავშირო ალკკ რიგებში შესასვლელად.

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაცია ეხმარება კომუნისტურ პარტიას, კომკავშირს, საბჭოთა სკოლას შეგნებული, კულტურული, ჯანსაღი, ხალისიანი, დისციპლინიანი, გაბედული პიონერების აღზრდაში, კომუნისტური საზოგადოების მშენებლების აღზრდაში, რომლებსაც არ ეშინიათ სიძნელეების; აღზარდონ ბავშვები საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის, ხალხთა შორის მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით.

ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა დაეხმაროს სკოლას, მასწავლებელს მაღალი მოსწრებისა და დისციპლინისათვის, მოსწავლეთა ღრმა და მტკიცე ცოდნისათვის ბრძოლაში, ჩაუნერგოს მოსწავლეებს მძიებლობა და ცოდნისმოყვარეობა, შეუპოვრობა და შრომისმოყვარეობა, ჩაუნერგოს ბავშვებს ფიზიკური შრომისადმი პატივისცემა და სიყვარული, თვითმმართველობის ჩვევები, უნარი შეასრულოს ყოველგვარი სამუშაო, რომელიც მის ძალას არ აღემატება.

პიონერთა ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიურად იზრუნონ ბავშვთა ჯანმრთელობისა და მათი დასვენების სწორ მოწყობაზე, ხელი შეუწყონ ფიზკულტურულ, საგნობრივ, ტექნიკურ წრეებში, ნორჩ ნატურალისტთა, მხატვრული თვითმოქმედების წრეებში მოსწავლეთა ფართო ჩაბმას; ჩაატარონ მასობრივი თამაშები, ექსკურსიები, ლაშქრობები.

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის მთელი მუშაობა აგებულია პიონერთა ფართო ინიციატივისა და თვითმოქმედების საფუძველზე, ბავშვთა ასაკის, ინტერესებისა და სურვილის გათვალისწინებით.

I. ნორჩ პიონერთა ორგანიზაციაში მიღება

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციაში მიიღებიან 9-დან 14 წლამდე ასაკის მოსწავლეები. პიონერთა ორგანიზაციაში მიღების უფლება აქვთ სკოლებისა და საბავშვო სახლების პიონერთა რაზმეულებსა და რაზმებს.

მოსწავლე, რომელსაც სურს შევიდეს პიონერთა ორგანიზაციაში, ამის შესახებ სიტყვიერად განუცხადებს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს ან რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს (იქ, სადაც არ არის პიონერთა რაზმები). პიონერთა ორგანიზაციაში მოსწავლის მიღების საკითხი განიხილება და შემდეგ გადაწყდება ღია კენჭისყრით პიონერთა რაზმში ან რაზმეულში (იქ, სადაც არ არის რაზმები). მოსწავლე, რომელსაც სურს შევიდეს პიონერთა ორგანიზაციაში, ეცნობა საზეიმო დაპირების ტექსტს და ამავე შეკრებაზე რაზმეულის წევრ დროშასთან იძლევა ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებას.

ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირება

„მე, საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერი, ჩემი ამხანაგების წინაშე ვიძლევი საზეიმო დაპირებას ვიყო ლენინის ანდერძის ერთგული, მტკიცედ ვიბრძოლო ჩვენი კომუნისტური პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის. პირობას ვიძლევი ვიცხოვრო და ვისწავლო ისე, რომ გავხდე ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ღირსეული მოქალაქე.“

მოწოდებაზე: „კომუნისტური პარტიის საქმისათვის ყაბრძოლველად იყავ მზად!“ პიონერი უპასუხებს: „მუდამ მზად ვარ!“ და აძლევს პიონერულ სალუტს.

პიონერი სალუტს აძლევს საბჭოთა კავშირის ჰიმნის, კომუნისტების პარტიის ჰიმნის „ინტერნაციონალის", მოკავშირე რესპუბლიკების ჰიმნების შესრულებისას.

პიონერი სალუტით მიესალმება პიონერხელმძღვანელებსა და პიონერებს.

თვითეული პიონერი, ნიშნად იმისა, რომ ეკუთვნის პიონერთა ორგანიზაციას, ყოველდღიურად ატარებს წითელ ყელსახვევს და სამკერდე ნიშანს „მუდამ მზად ვარ!". ნიშანს ატარებენ მკერდის მარცხენა მხარეს.

II. ნორჩი პიონერის მოვალეობანი და უფლებები

ნორჩი პიონერი მოვალეა:

ასრულებდეს ნორჩი პიონერის საზეიმო დაპირებას;

სწავლობდეს ბეჯითად და იყოს დისციპლინიანი სკოლასა და სკოლის გარეთ, პატივს სცემდეს მასწავლებელს, უფროსებს, იყოს ზრდილობიანი;

იყოს შრომისმოყვარე, პატივს სცემდეს სხვების შრომას, უფროხილდებოდეს სახალხო დოვლათს;

მონაწილეობდეს საზოგადოებრივ მუშაობაში;

ეხმარებოდეს მშობლებს, უფროსებს;

იყოს პატიოსანი და გულმართალი, კარგი ამხანაგი, ზრუნავდეს უმცროსებზე;

მეცადინეობდეს ფიზკულტურასა და სპორტში.

ნორჩ პიონერს უფლება აქვს:

მონაწილეობა მიიღოს თავისი რგოლის, რაზმის, რაზმეულის მთელს მუშაობაში;

მონაწილეობა მიიღოს პიონერთა ორგანიზაციის მუშაობის ყველა საკითხის განხილვაში;

იყოს არჩეული რგოლის ხელმძღვანელად, რაზმის საბჭოში, რაზმეულის საბჭოში;

მიმართოს რაზმეულის საბჭოს თხოვნით საკავშირო ალკა რიგებში შესასვლელად რეკომენდაციის მიცემის შესახებ.

პიონერს აქვს ფორმა: თეთრი ხალათი და მუქი ფერის შარვალი (ბიჭებისათვის), თეთრი ბლუზი და მუქი ფერის ქვედატანი (გოგონებისათვის). პიონერი ფორმით ცხადდება პიონერთა შეკრებაზე, პარადზე, დემონსტრაციაზე, საზეიმო საღამოსა და დილაზე.

III. პიონერთა რაზმეული, რაზმი, რგოლი

ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის საფუძველს წარმოადგენენ პიონერთა რაზმეულები. პიონერთა რაზმეულები იქმნება სკოლებსა და საბავშვო სახლებში, სადაც არის სულ მცირე 3 პიონერი. საზაფხულო არდადეგების დროს პიონერთა რაზმეულები შეიძლება შეიქმნეს პიონერთა ბანაკებში.

პიონერთა რაზმეულების ხელმძღვანელობისათვის კომკავშირის რაიონული კომიტეტები, საქალაქო კომიტეტები გამოყოფენ უფროს პიონერხელმძღვანელებს საკავშირო ალკა წევრებისაგან, რომლებიც ყველაზე უფრო მომზადებული არიან ამ მუშაობისათვის.

უფროსი პიონერხელმძღვანელი არის პიონერთა აღმზრდელი და უფროსი ამხანაგი, მათი თვითმოქმედების ორგანიზატორი. პიონერხელმძღვანელი მუშაობს მასწავლებლებთან მჭიდრო კავშირში, არის სკოლის, საბავშვო სახლის პედაგოგიური საბჭოს წევრი. პიონერხელმძღვანელის მუშაობას ხელმძღვანელობს კომკავშირის რაიკომი, საქალაქო კომიტეტი.

რაზმეულის მუშაობას აწყობს რაზმეულის საბჭო, რომელსაც ირჩევენ რაზმეულის შეკრებაზე 3-დან 15 კაცის რაოდენობით ღია კენჭისყრით. საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარეს. რაზმეულის საბჭოს შემადგენლობაში შედის უფროსი პიონერხელმძღვანელი. პიონერთა რაზმეულში, რომელშიც 10 პიონერზე ნაკლებია, ირჩევენ არა რაზმეულის საბჭოს, არამედ რაზმეულის თავმჯდომარეს.

რაზმეულის საბჭო უფროსი პიონერხელმძღვანელის ხელმძღვანელობით სკოლის დირექტორთან, კლასების ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებთან ერთად იბრძვის იმისათვის, რომ პიონერები კარგად სწავლობდნენ, იყვნენ დისციპლინიანი, აქტიურად მონაწილეობდნენ შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობაში.

რაზმეულის საბჭო აწყობს და ატარებს პიონერთა შეკრებებს, საუბრებს, კონკურსებს, ტექნიკის, შრომის, სახვითი შემოქმედების დარგში პიონერთა ნამუშევრების გამოფენებს, ლაშქრობებსა და ექსკურსიებს მშობლიური მხარეში, აბავს პიონერებს სხვადასხვა წრეში, ფიზკულტურულ თამაშებში, სპორტულ შეჯიბრებებსა და სხვა მასობრივ ღონისძიებებში.

რაზმეულის საბჭო დავალებებს აძლევს რაზმებს, ცალკეულ პიონერებს და ამოწმებს ამ დავალებათა შესრულებას. რაზმეულის საბჭო თვალს ადევნებს, რათა პიონერები არ იქნენ გადატვირთულნი საზოგადოებრივი და სხვა დავალებებით.

პიონერთა რაზმეულებში, რაზმებსა და რგოლებში მთელი მუშაობა უნდა ტარდებოდეს შინაარსიანად, მიმზიდველად, საინტერესოდ და წარმტაცად, მოიცავდეს ყველა პიონერს.

პიონერთა რაზმეულს უფლება აქვს პიონერებს მისცეს რეკომენდაცია საკავშირო ალკა რიგებში შესასვლელად. პიონერი, რომელსაც სურვილი აქვს შევიდეს კომკავშირში, პიონერთა რაზმეულის რეკომენდაციის მიღებისათვის სიტყვიერად მიმართავს რაზმის საბჭოს. საკითხს რეკომენდაციის შესახებ წინასწარ განიხილავს რაზმის საბჭო და გადაწყვეტს რაზმეულის საბჭო.

პიონერთა რაზმეულს აქვს წითელი პიონერული დროშა— ნორჩ პიონერთა ღირსებისა და დარაზმულობის, სოციალისტური სამშობლოსადმი, კომუნისტური პარტიისადმი მათი თავდადებული ერთგულების სიმბოლო.

რაზმეულის დროშა გამოაქვთ რაზმეულის ყველა შეკრებაზე. რაზმეული დროშით გამოდის დემონსტრაციაზე, შეკრებაზე, პარადზე. რაზმეულს აქვს საყვირი და დოლი.

პიონერთა რაზმეული შედგება რაზმებისაგან. რაზმები იქმნება რაზმეულში, რომელშიც არის სულ მცირე 20 პიონერი. რაზმი, როგორც წესი, აერთიანებს პიონერებს, რომლებიც ერთ კლასში სწავლობენ.

პიონერთა რაზმების ხელმძღვანელობისათვის კომკავშირის რაიკომები, საქალაქო კომიტეტები საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების, საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ყველაზე უფრო აქტიური კომკავშირელებისაგან გამოყოფენ პიონერხელმძღვანელებს. რაზმის პიონერხელმძღვანელი მუშაობს კლასის ხელმძღვანელთან მჭიდრო კავშირში, უფროსი პიონერხელმძღვანელის ხელმძღვანელობით.

რაზმის შეკრებაზე ღია კენჭისყრით ირჩევენ რაზმის საბჭოს 3-დან 5 კაცის რაოდენობით. საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს. რაზმის საბჭოს შემადგენლობაში შედის რაზმის პიონერხელმძღვანელი. რაზმში, რომელშიც 10 პიონერზე ნაკლებია, ირჩევენ არა რაზმის საბჭოს, არამედ რაზმის თავმჯდომარეს.

პიონერთა რაზმს აქვს წითელი ალამი. ალმით რაზმი მონაწილეობს შეკრებაში, დემონსტრაციაში, პარადში, ლაშქრობაში.

პიონერთა რაზმი, რომელიც 20-ზე მეტ პიონერს აერთიანებს, იყოფა რგოლებად. რგოლის მუშაობას აწყობს რგოლის ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევენ პიონერთა რიცხვიდან ღია კენჭისყრით რგოლის შეკრებაზე.

პიონერთა რაზმეულებში რგოლების ხელმძღვანელების, რაზმების, საბჭოებისა და რაზმეულების საბჭოების ანგარიშგება-არჩევნები ტარდება წელიწადში ერთხელ.

რაზმეულების, რაზმების საბჭოების წევრები და თავმჯდომარენი და რგოლების ხელმძღვანელები მარცხენა სახელოზე, იდაყვზევით ატარებენ განმასხვავებელ ნიშნებს — ოთხი სანტიმეტრი სიგრძისა და ერთი სანტიმეტრი სიგანის წითელი ფერის ზოლებს. რაზმეულის საბჭოს თავმჯდომარე ატარებს სამ ზოლს; რაზმის საბჭოს თავმჯდომარე და რაზმეულის საბჭოს წევრები — ორ ზოლს; რგოლების ხელმძღვანელები და რაზმის საბჭოს წევრები ერთ ზოლს.

პიონერთა ორგანიზაცია პიონერებს წაახალისებს სწავლაში, შრომასა და საზოგადოებრივ მუშაობაში წარმატებებისათვის. იმ პიონერებისათვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წახალისების ზომებია: მადლობის გამოცხადება რგოლის ან რაზმის მწყობრის წინაშე — რაზმის საბჭოს გადაწყვეტილებით; მადლობის გამოცხადება რაზმეულის მწყობრის წინაშე — რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით; ფოტოსურათის გადაღება რაზმეულის გაშლილ წითელ დროშასთან, რაიონული (საქალაქო) პიონერთა ორგანიზაციის წითელ დროშასთან. საუკეთესო პიონერები ჯილდოვდებიან კომკავშირის საოლქო კომიტეტის, სამხარეო კომიტეტის, მოკავშირე რესპუბლიკის ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელით. ის პიონერები, პიონერთა რაზმები, რაზმეულები და პიონერული მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, შეტანილ იქნებიან ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის საპატიო წიგნში.

პიონერებისადმი, რომლებიც არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, გამოიყენება სასჯელის ზომები: რაზმის ან რაზმეულის საბჭოს შენიშვნა ან გაკიცხვა; რგოლის ან რაზმის შეკრებაზე განხილვა; საყვედურის გამოცხადება რგოლის ან რაზმის მწყობრის წინაშე — რაზმის საბჭოს გადაწყვეტილებით; საყვედური — რაზმეულის საბჭოს გადაწყვეტილებით. პიონერთა დანაშაულის განხილვისას უნდა უზრუნველყოფილ იქნას პიონერისადმი გულისხმიერი, ყურადღებიანი მიდგომა.

IV. ნორჩ პიონერთა რაიონული, საქალაქო, საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკური ორგანიზაცია

რაიონის, ქალაქის ყველა პიონერთა რაზმეული შეადგენს ნორჩ პიონერთა რაიონულ, საქალაქო ორგანიზაციას.

ნორჩ პიონერთა რაიონულ, საქალაქო ორგანიზაციას აქვს წითელი პიონერული დროშა. წითელი პიონერული დროშა გამოაქვთ დემონსტრაციაზე რევოლუციური დღესასწაულების დღეებში, პიონერთა შეკრებაზე და სხვა მასობრივ ღონისძიებებზე, რომლებიც ტარდება ნორჩ პიონერთა რაიონულ, საქალაქო ორგანიზაციაში. წითელი დროშა ინახება საკავშირო ალკკ რაიკომში, საქალაქო კომიტეტში.

ნორჩ პიონერთა ყველა რაიონული, საქალაქო ორგანიზაცია შეადგენს ნორჩ პიონერთა საოკრუგო, საოლქო, სამხარეო, რესპუბლიკურ ორგანიზაციას.

რესპუბლიკებში, მხარეებში, ოლქებში, ქალაქებში, რაიონებში ნორჩ პიონერთა ორგანიზაციებისადმი ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციების დავალებით ხორციელდება კომკავშირის რესპუბლიკური, სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მიერ.

ნორჩ პიონერთა ყველა საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური ორგანიზაცია შეადგენს ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტურ ორგანიზაციას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით მის პრაქტიკულ საქმიანობაზე ხელმძღვანელობას ახორციელებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

V. პიონერთა ორგანიზაცია, კომკავშირი და სკოლა

პიონერთა ორგანიზაციაზე ზრუნვა საკავშირო ალკკ ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა. კომკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურად უნდა ხელმძღვანელობდნენ პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების მუშაობას, ავითარებდნენ პიონერთა თვითმოქმედებას, აღწევდნენ იმას, რომ თვითეული პიონერი მოსწავლეებისათვის მაგალითი იყოს სწავლასა და დისციპლინაში, ქუჩაში, ოჯახში, საზოგადოებრივ ადგილებში ქცევაში. კომკავშირული ორგანიზაციები მოწოდებული არიან იზრუნონ ბავშვთა ბეჭდვით სიტყვაზე, პიონერთა ბანაკების, პიონერთა სასახლეებისა და სახლების, პიონერთა ოთახების, სპორტული მოედნების, ბავშვთა თეატრების, ნორჩი ნატურალისტების, ნორჩი ტექნიკოსების, ნორჩი ტურისტების სადგურების მუშაობაზე.

პიონერთა შორის მუშაობას კომკავშირული ორგანიზაციები ატარებენ სახალხო განათლების ორგანოებთან, სკოლებისა და სბავშვო სახლების პედაგოგიურ კოლექტივებთან მჭიდრო კავშირში.

სკოლების დირექტორები და მასწავლებლები პიონერთა მუშაობას განიხილავენ, როგორც მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდისათვის მთელი მუშაობის ნაწილს, აქტიურ გავლენას ახდენენ პიონერთა რაზმებისა და რაზმეულების საქმიანობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლ გერძენიშვილი

ნახ. ვ. მესხისა და ჯ. ყავლაშვილისა

კოლია

ვუძღვნი 12 წლის უკრაინელი ბიჭის ნიკოლაი კაპეიკას ხსოვნას, რომელიც 1943 წლის გაზაფხულზე ქალაქ კრივოიროგში გერმანელმა ფაშისტებმა დახვრიტეს როგორც მძევალი.

ავტორი

ესესელთა შტაბის წინ ხეზე ქაღალდი იყო გაკრული. ქაღალდზე პატარა ძაღლი ეხატა — ქეციანი, კუდმოჭრილი. პატარა ძაღლს დიდი ენა მიწამდე ჰქონდა გადმოგდებული. ენაზე შავი სვასტიკა და ორი ასო «ს ს» ეხატა. კუთხეში იყო მინაწერი «კოლია». ამ პატარა ქაღალდმა ააფორიაქა ფაშისტთა შტაბი, — როგორ!? სიკვდილისა და მრისხანეების შტაბის წინ ასეთი წარწერა?! ბრაზობდა შტაბის უფროსი — აყლაყუდა გერმანელი, — მასაც ხომ ჰქონდა საყელოზე და მკლავზე წარწერილი ორი ასო «ს ს».

— ვინ გაბედა!? მოსპეთ! გასრისეთ! — ღრიალებდა ის. — იპოვეთ, მოედანზე ჩამოახრჩვეთ!

და ეძებდნენ კოლიას, — ჩამოსახრჩობად, ასაკუწავად.

კოლიამ სატელეფონო მავთული გადაჭრა ფაშისტების აეროდრომთან.

კოლიამ საწყობს ცეცხლი გაუჩინა.

— სად არის?! შეიპყარით-მეთქი. ცოფსა ჰყრიდა ესესელთა შტაბის უფროსი.

რკინიგზასთან ფეხშიშველი, ჭორფლიანი ბიჭუნა შეიპყრეს.

— ვინ ხარ? აქ რას დაეთრევი? რა გქვია? — ყოველმხრივ აყრიდნენ კითხვებს.

— ტარასი მქვია, გაღმა სოფელში მივდივარ, კოლიას არ ვიცნობ, წერა-კითხვა არ ვიცი, — უპასუხა ბიჭმა. მაგრად მისტყეპეს, მაგრამ რას გააწყობდნენ, ეს ხომ კოლია არ არის — ტარასია.

სად არის კოლია?!

აგერ, ქალაქის განაპირას, მტვრიან ქუჩაზე პატარა ბავშვებს პატარა კუბო მოჰქონდათ. ბავშვები კრძალვით, დაფიქრებით მოდიოდნენ. ამის დამნახავმა მოხუცმა დედაკაცმა ლოყაზე ხელი შემოიკრა და ჩიფჩიფით თქვა:

— ღმერთო, რა დრო დადგა, ბავშვებიც კი მარხავენ!

წვიმა წამოვიდა. ბავშვები მთავარ გზას მიუახლოვდნენ.

— ესესელები მოდიან! დავიმალოთ! — გასცა ბრძანება ცხვირაპეჭუა ევგენიმ. რას გააწყობდნენ. სხვა გზა არ იყო. კუბო შუა გზაზე დადეს. კუბოზე წააწერეს — «ეხ, კოლია!» — და მოჰკურცხლეს.

ესესელთა ჯგუფი კუბოსთან შედგა. «ეხ, კოლია!» — ამოიკითხა ერთმა მათგანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახსენით კუბო! — ბრძანა მეთაურმა. ისინი სიხარულისაგან თრთოდნენ.

— როგორც იქნა კოლია ვიპოვეთ, ცოცხალი თუ არა, მკვდარი მაინც, — გაიძახოდა წითური ფაშისტი, — დღეს შტაბის უფროსს გავახარებთ.

გახსნეს კუბო... და... კუბოში პატარა ქაღალდი იყო. პატარა ქაღალდზე პატარა კატა ეხატა ჰიტლერის თავით. იქვე წარწერა: — «ასეთია ყოველი დამპყრობი. კუბოშია ფაშისტების ბოლო». და მინაწერი «კოლია».

— ეძიეთ! იპოვეთ, დახვრიტეთ!..

1944 წლის იანვარი მიიწურა. კრივოიროგში ტბა არის ერთი — «ჩაძირულ მაღაროს» ეძახიან. ტბა გაყინული იყო. ყინულზე ვ ღაცის უხილავ ხელს დიდი ხუთქიმიანი ვარსკვლავი დაეხატა. ფაშისტებმა ყინული ააფეთქეს, მაგრამ წარწერები იყო ყველგან. «ახლოა თავისუფლება!», «დიდება საბჭოთა გმირებს!», «სიკვდილი ფაშისტებს!» და ყველგან ხელს აწერდა კოლია. ფაშისტები სად არ ეძებდნენ კოლიას ასაკუწავად, ჩამოსახრჩობად. ჩვენები უკვე ქალაქ კრივოიროგს უახლოვდებოდნენ. გარკვევით ისმოდა საბჭოთა არტილერიის გუგუნი. ჰიტლერი ბრძანებას ბრძანებაზე გზავნიდა: «არ დათმოთ კრივოიროგი!» ფაშისტთა არმია სისხლისაგან იცლებოდა. კედლებზე, ხეებზე, სახურავებზეც კი, უფრო ხშირად ხვდებოდნენ წარწერებს ფაშისტების წინააღმდეგ და ჩვენი არმიის სადიდებლად, და ყველგან იყო მინაწერი «კოლია».

ესესელებმა კოლიას შეპყრობისათვის ჯილდოც კი გამოაცხადეს. ერთი კვირის განმავლობაში კოლიას ფასი ნახევარ მილიონ მანეთამდე ავიდა. კოლია ყველგან იყო, კოლია არსად ჩანდა. ბოლოს ფაშისტებმა გადაწყვიტეს დაეხვრიტათ ყველა, ვისაც კოლია ერქვა. მაგრამ დადგა 1944 წლის ნანატრი თებერვალი. 22 თებერვალს საბჭოთა არმიამ ფაშისტ დამპყრობთაგან გაათავისუფლა ქალაქი კრივოიროგი. ზეიმი იყო. მაღლობზე საბჭოთა ტანკის გარშემო ბავშვები შეკრებილიყვნენ. მათი მხიარული ჟრიამული ფარავდა ქვემეხების შორეულ გუგუნს.

ყველანი იყვნენ აქ. ცხვირაპაჭუა ევგენი, ჭორფლიანი ტარასი, ვლადისლავი, გალოჩკა... ვინ არ იყო აქ!

ბავშვებს ორგზის ლენინის ორდენოსანი კაპიტანი მიუახლოვდა. კაპიტანს ვაკკაცურ სახეზე მოუთმენლობა ეხატებოდა.

— ბავშვებო, ხომ არ იცით სად არის კოლია კრავჩენკო? — იკითხა მან.

— კოლია?! — წინ წამოდგა ცხვირაპაჭუა ევგენი. — კოლია, ძია, შარშან ფაშისტებმა ჩამოახრ-

კედლებზე, სახურავებზე, ხეებზეც კი უფრო ხშირად ხვდებოდნენ წარწერებს ფაშისტების წინააღმდეგ...

ჩვეს, იმიტომ, რომ ის პარტიზანებს ეხმარებოდა, — ჩვენ ყველამ მისი სახელი დავირქვით, ჩვენ ვხატავდით, რაც მას დარჩა დაუხატავი...

— ეხ... შვილო... — კაპიტანმა ცრემლი შეიმშრალა. თვალები ცეცხლით აენთო და გაჰყვა ცეცხლის ხაზზე მიმავალ საბჭოთა მეომრების ასეულს.

ბავშვებს ცრემლით აევსოთ თვალები. ვერაფერი თქვეს. ბოლოს ისევ ევგენი გამოერკვა; შეახტა ვეებერ ტანკს და კოშკურაზე ცარცით წააწერა «კოლია».

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიევი

ძველთაძველი, უმშვენერიესი ქალაქია კიევი: ბუმბერაზივით გაუშლია მხარი ჭალარა დნეპრის ულამაზეს ნაპირებზე. კიევი იზრდება და შენდება ყოველდღიურად. ქალაქის ცენტრი და გარეუბნები დღითიდღე მშვენდება ახალი მრავალსართულიანი შენობებით.

ახლდება სახელგანთქმული კრეშჩატიკი—კიევის მთავარი ქუჩა. ათი წლის წინათ, როცა საბჭოთა არმიამ კიევი ფაშისტური ოკუპაციისაგან გაათავისუფლა, კრეშჩატიკი ნანგრევებს წარმოადგენდა. ახლა იგი დამშვენებულია დიდებული საცხოვრებელი და ადმინისტრატიული შენობებით, რომლებიც ომამდელზე გაცილებით უკეთეს ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლს ქმნიან.

ჩვენი დიადი სამშობლოს ყოველი მხრიდან ჩამოდიან ექსკურსანტები საბჭოთა უკრაინის დედაქალაქში. ისინი ეცნობიან კიევის ღირსშესანიშნავ ადგილებს და, უპირველეს ყოვლისა, დიდხანს დგანან ბოგდან ხმელნიცკის ძეგლთან — მისივე სახელობის მოედანზე. ძეგლი წარმოადგენს გრანიტის კლდეზე შემდგარ ბრინჯაოს მხედარს. ყალყზე შემდგარ ცხენზე ამხედრებულ ბოგდან ხმელნიცკის თოფუზი ჩრდილოეთისაკენ—მოსკოვისაკენ გაუწვდია. ესაა ერთადერთი გზა — გზა თავისუფლებისა და გადარჩენისა.

კიევში მრავალი ისტორიული ძეგლი უკავშირდება გამოჩენილ უკრაინელ სარდალსა და სახელმწიფო მოღვაწეს—ბოგდან ხმელნიცკის. რესტავრირებულია სახელგანთქმული ოქროს კარები, რომლითაც 1648 წლის 23 დეკემბერს კიევში შევიდა პოლონელ დამპყრობლებზე გამარჯვებული ბოგდან ხმელნიცკი. ხალხი ზეიმით შეხვდა გამარჯვებულ გეტმანს. იმავე საღამოს სოფიის ტაძარში შედგა საზეიმო ცერემონიალი. ამჟამად რესტავრირებულია სოფიის ტაძარიც.

უკრაინული ბიბლიოთეკა

მნახველებითაა სავსე კიევის მუზეუმები. სტუდენტები, მოსწავლეები, მშრომელები, უკრაინაში ჩამოსული სტუმრები კიევის ისტორიულ მუზეუმში ინტერესით ეცნობიან ექსპონატებს, რომლებიც უკრაინელი ხალხის გამათავისუფლებელ ომზე, მოძმე რუსეთთან შეერთებისათვის ბრძოლაზე მოგვითხრობენ. რუსი და უკრაინელი ხალხის ურღვევი მეგობრობის ძეგლია აგრეთვე შევჩენკოს სახელობის კიევის ლიტერატურულ-მხატვრული მუზეუმი. მუზეუმში მოთავსებული 4 ათასზე მეტი სურათი, ფოტო, ლიტერატურული ნაწარმოები და სხვა დოკუმენტი ნათლად გვიჩვენებს გენიალური უკრაინელი პოეტისა და მოაზროვნის ტარას შევჩენკოს ურღვევ კავშირს რუსეთის მოწინავე ადამიანებთან, რუსეთის დიდ კულტურასთან.

საბჭოთა კიევი ცხოვრობს სისხლსავსე, მხიარული ცხოვრებით; კვალდაკვალ მიჰყვება სიმართლისა და თავისუფლების ლამპარს, მშვიდობისა და მეგობრობის ბურჯს — დიდ მოსკოვს.

ე. კრიჟანოვსკი

☆

სურათზე: მარცხნივ—ზევით: კიევის ქალთა 13 საშუალო სკოლის მოსწავლეები ბოგდან ხმელნიცკის ძეგლთან.
ქვევით: კიევი—უკრაინის ხელოვნების მუზეუმი.
მარჯვნივ—ზევით: უკრაინის დიდი კობზარის ტარას შევჩენკოს ძეგლი კიევში.
ქვევით: კიევი. ქალაქის მთავარი მაგისტრალი კრეშჩატიკი.

☆



სუბ. ბიბლიოთეკა

ბელორუსიის სსრ
ჩერნიგოვი
ბრიანსკი
ბელგოროდი
ოსკოლი
ხარკოვი
ბელგოროდი
ბალაკლეა
ბერეზანი
ოდესა
ნიკოლაევი
ბერეზანი
ბალტა
ბერეზანი
ბალტა
ბერეზანი
ბალტა

ითვლება საბჭოთა კავშირის „პირველ საქვანახშირო-მეტალურგიულ ბაზად“.

დიდი მნიშვნელობა აქვს უკრაინისთვის ასობით მსხვილ ელექტროსადგურს, მათგან თავისი სიმძლავრით გამოირჩევა ვ. ი. ლენინის სახელობის დნეპროჰესი და მშენებლობაში მყოფი კახოვკაჰესი.

რთული და მრავალფეროვანია უკრაინის მრეწველობა. უკრაინის საწარმოები უშვებენ თითქმის ყველა სახის თანამედროვე მანქანას, დაწყებული ზუსტი ხელსაწყოებიდან, დამთავრებული ურთულესი დანადგარი ბლუმინგებით... უკრაინის ფარგლებს გარეთაა ცნობილი აქ დამზადებული მძლავრი ორთქლმავლები და ვაგონები, კომბაინები და ტრაქტორები, მოტოციკლეტები და ველოსიპედები, სამთო-საშახტე და მეტალურგიული მოწყობილობანი, მძიმე დაზგები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საუკეთესო ფოტოაპარატები და ზუსტი ხელსაწყოები. უკრაინაში დამზადებული მოსიარულე ექსკავატორები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის დიად მშენებლობებზე.

უკრაინაში მანქანათმშენებლობის ათობით მსხვილი ცენტრი ითვლება, მათ შორის აღსანიშნავია: მეტალურგიულ მოწყობილობათა ნოვოკრამატორსკის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, რომელიც თავისი სიმძლავრით უდიდესია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ მთელს ევროპაში; ნოვოკრამატორსკის ქარხანა—ეს არის „ქარხანათა-ქარხანა“. აქ მზადდება მთელი ქარხნები, ამ გიგანტის საამქროში დამზადებული საგლინავი მანქანები წარმატებით მუშაობენ ჩვენი ქვეყნის რიგ მეტალურგიულ ქარხნებში, ერთ-ერთი მათგანი — სამამულო ომის შემდეგ დაბადებული ბლუმინგი დადგმულია ი. ბ. სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში. ამავე ქარხანაშია დამზადებული ტურბინები დნეპროჰესისათვის და მზადდება ტურბინები და სხვა მოწყობილობანი კუიბიშევის, სტალინგრადისა და კახოვკის ჰიდროელექტროსადგურებისათვის.

მეტალურგიულ მოწყობილობას ამზადებს აგრეთვე დნეპროპეტროვსკის, კორლოვკის, სტალინოს, ვოროშილოვგრადის, დრუჟკოვოს ქარხნები, რომელთა პროდუქცია მოკავშირე რესპუბლიკებსა და უცხოეთში გადის.

უკრაინის მაღალხარისხოვან სამთო-საშახტო მოწყობილობებს კარგად იცნობენ ჩინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეშახტეები. საბჭოთა კავშირისა და მის ფარგლებს გარეთ კარგად იცნობენ მძლავრ მიწისქვეშა მაშვრალს—საქვანახშირო კომბაინ „დონბასს“, რომელმაც შახტებიდან ერთხელ და სამუდამოდ განდევნა ნიჩაბი; გორლოვკის კიროვის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში დამზადებული კომბაინებით მექანიზებული იქნა ქვანახშირის ნგრევა და ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაო—ქვანახშირის დაყრა ტრანსპორტიორზე, რასაც დიდძალი დრო და ენერგია სჭირდებოდა.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც საზღვაო გემთმშენებლობას, ისე სამდინაროს. უკრაინის დედაქალაქი კიევი სამდინარო გემთმშენებლობის უდიდეს ცენტრად და ნავსადგურად გადაიქცა.

თავის მხრივ მაღალგანვითარებული მრეწველობა ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის მექანიზაციას, სასუქით მომარაგებას, საკოლმეურნეო სოფლის სამრეწველო ნაწარმით უზრუნველყოფასა და კეთილმოწყობას.

საბჭოთა ეპოქაში ყოველმხრივ განვითარდა უკრაინელი და ქართველი ხალხების მეგობრობა, როგორც ეკონომიკის, ისე კულტურისა და ხელოვნების დარგში. მაგალითად, საბჭოთა უკრაინა საქართველოს აწვდის მანქანათმშენებლობის პროდუქციას, ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს ჩვენი რესპუბლიკის საავტომობილო და მეტალურგიული მრეწველობისათვის. მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული საქართველოსა და უკრაინის მეცნიერებს.

სოციალისტური შეჯიბრება აქვთ გაშლილი და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას ორი რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკები. მათ შორის სოციალისტური სამშობლოს ქვანახშირის ორი აუზის — დონბასისა და ტყიბულის მეშახტეთა კოლექტივები, ქალაქ ხერსონისა და გორის მეკონსერვეები, ნიკოპოლისა და ჭიათურის მარგანეცის მემაღაროელები, ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონისა და მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეები და სხვ.

დიდი სიხარულით ხვდებიან რუსეთთან უკრაინის შეერთების ისტორიულ თარიღს ჩვენი ქვეყნის მშრომელები და ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას უკრაინელი ხალხი ახალ წარმატებებით აღნიშნავს.

გრ. ზარდალიშვილი.
გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ძმურ ოჯახში

ძირს დაუხრელ ძლევის დროშას,
თექვსმეტ ძმას რომ უკავია,
აძლიერებს ნალხთა ძმობა,
ძმობით მძლავრობს უკრაინაც.

საქართველოს უკრაინის
ერთგულება განუცდია,
მათ, ორივეს ერთმანეთი
ძველთაგანვე ძმად უცვნიათ!

და დიდ რუსეთს—
ხალხთა მფარველს
სამასი წლის ახლავს მოძმე,
ვინც წარსულის ძლია დარდი,—
დიად დღეთა გახდა მოწმე!

ერთი მზის ქვეშ ამწვანებულ
მთებს მშვიდობის ადგას ფილა;
ხალხთა მტკიცე მეგობრობის
ვრცელი ბაღი გადაშლილა.

უფროსი ძმის მკლავმა შეკრა
საუკუნო ძმობა ერთა,
დარიც დარობს, სანეტაროდ
მზის ნათელმა შეგვაერთა.

ამ დიადი შუქისათვის
ჩვენს დიდ მამებს უფიქრიათ,—
მას ლენინის და სტალინის
უკვდავების შუქი ჰქვია.

ილია პროსია

როდიონ ქორქია

ნახ. დ. ხახუტაიშვილის

ჯაღარა ბიჭი

პოლკში ხმა გავარდა კიევი უნდა დაიცალოსო, კოროსტენი უნდა დავიცვათო. კიევიდან რომ დაჭრილები გამოეყვანათ და სამხედრო ქონება გამოეტანათ, საჭირო იყო რამდენიმე დღით კოროსტენის დაცვა. კოროსტენი კიევის მისადგომია, რკინიგზის სადგური. რადგან კოროსტენის დაცვას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამ ოპერაციის სახელმძღვანელოდ თვითონ დივიზიის მეთაური—ამხანაგი შჩორსი ჩამოვიდა.

პროკოპკას ნაწილი, ბოგუნის პოლკი, სოფელ ბელოშიცის განაპირას ჩაწოლილიყო სახელდახელო სანგრებში. ამ სოფელთან იყრიდა თავს პეტლურას ჯარიც და იერიშისთვის ემზადებოდა. თუ მტერი სოფელს აიღებდა, კოროსტენსაც ადვილად ჩაიგდებდა ხელთ. მაშინ კი გზა გახსნილი იყო კიევისაკენ. ამიტომ იმ დღეს, 30 აგვისტოს, ბოგუნის პოლკიც იერიშისთვის ემზადებოდა.

ცხელი დღე მიიწურა. გრილმა სიომ დაბერა და საამურად გადაუქროლა სანგრებში ჩაწოლილ წითელარმიელებს. პროკოპკამ ქუდი მოიხადა, შავი გრეზა თმები თითებით გადაივარცხნა და შუბლი შეუშვირა სიოს.

— პროკოპკა, იცი, ბიჭები ამბობენ, რომ ამხანაგი შჩორსი ჩამოვიდაო დღეს,—უთხრა პროკოპკას მეტყვიამფრქვევე ივონოგმა.

... პროკოპკამ მხოლოდ გაიღიმა და უსიტყვოდ, სიყვარულით შეაჩერდა შჩორსს.

— შენზე ადრე გავიგე,—თავმომწონედ უთხრა ივონოგმა პროკოპკამ,—შტაბში მითხრა გუშინ ჩემმა მეგობარმა მეკავშირემ.

ეს მეკავშირე პაპად ერგებოდა პროკოპკას, მაგრამ პროკოპკა არ ტრაბახობდა. ფრონტი ათანასწორებს ყველას, ვისაც შაშხანა უჭირავს.

— ჩემის აზრით შჩორსი უეჭველად მოვა ჩვენს ფლანგზე,—დარწმუნებით თქვა ივონოგმა,—იერიშს თვითონ გაუძღვება, მისი ამბავი რომ ვიცი.

— ოჰ, ნეტავი მოვიდეს! — ბავშვურად ინატრა პროკოპკამ. — ვუჩვენებდი, თუ როგორ ვისვროდი მისი ნაჩუქარი შაშხანიდან!.. მერე, ბრძოლა რომ გათავდება, თხოვნაც მაქვს მასთან.

— ვიცი, რომ კარგად ისვრი! ყოჩაღ, ჩემო პროკოპკა!— და ვიღაცის თეთრმა, ლამაზმა ხელმა პორკოპკას მხრებზე მოუთათუნა.—როგორა ხარ?

პროკოპკამ მოიხედა და შესძახა:

— ოჰ, ძია მიკოლა!.. კარგად ვარ, კარგად!..

უნდოდა ეკითხა: შენ როგორა ხარო, მაგრამ თავი შეიკავა. პროკოპკა წესიერი წითელარმიელი იყო და იცოდა: უფროსი რომ მხარზე ხელს მოგითათუნებს, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შენც უნდა მოუთათუნო. უნდა გაზომო მანძილი: უფროსი დაიხრება შენკენ, შენ კი ვერ ახწვდები მას, ცერზეც რომ შედგე. ამიტომ პროკოპკამ მხოლოდ გაიღიმა და უსიტყვოდ, სიყვარულით შეაჩერდა შჩორსს.

შჩორსმა დურბინდი მოიმარჯვა და სოფლის წინა არეს ზვერვა დაუწყო.

— ამხანაგო ივონოგ!—უთხრა შჩორსმა ივონგს. აიტანე შენი ტყვიამფრქვევი ბექობზე და დასცხე ხუტორს. იქ მტრის ტყვიამფრქვევია ჩასაფრებული და ხელს შეგვიშლის იერიშზე გადასვლისას.

— არის!—მოისმა ივონოგის პასუხი.

შჩორსმა ისევ მოიმარჯვა დურბინდი და საუპარი დაუწყო პროკოპკას.

— რას ამბობდი, პროკოპკა? რა უნდა მთხოვო ბრძოლა რომ გათავდება?

პროკოპკას გაეხარდა შჩორსის შეკითხვა. ბრძოლის წინ შჩორსი მისთვისაც პოულობდა დროს, ხოლო დრო რომ ძვირფასი იყო პროკოპკამ კარგად იცოდა.

ამიტომ პროკოპკამ უყოყმანოდ უპასუხა:

— ომი რომ გათავდება, ძია მიკოლა, მე სწავლა მინდა! ხომ მიმიწერეთ წერილს სკოლის უფროსთან, რომ მიმიღოს სკოლაში?

— უეჭველად მიგიწერ!—უპასუხა შჩორსმა სიცილით.

— ოღონდ, ძია მიკოლა, მისწერთ, რომ უფასოდ მიმიღოს,—შეეხვეწა პროკოპკა, — მისწერთ, რომ მამაჩემი რევოლუციისათვის დაილუპა ფრონტზე.

შჩორსი მოიღრუბლა. წამით გაახსენდა შარშანდელი ამბავი: როცა პროკოპკას მამა საგუშაგოზე გაიყინა და შჩორსმა მამის შაშხანა მის შვილს, პატარა პროკოპკას, გადასცა. ამიტომ შჩორსმა დარიგების კილოთი უთხრა პროკოპკას:

— მე თვითონ მიგიყვან სკოლაში. ვიტყვი უფროსს, რომ შენ იბრძოდი რევოლუციისათვის, საბჭოთა უკრაინისათვის, ლენინისათვის!.. ოღონდ გახსოვდეს, შენ სკოლაშიც ისეთივე ბეჯითი უნდა იყო, როგორც ფრონტზე ხარ მამაცი და კარგი

— ლენინისათვის, უკრაინისათვის! წინ! ვაშაა!

მსროლელი. შენს შაშხანას კი მუზეუმში ჩავაბარებ. კარგი მამის ხელში იყო ეს შაშხანა. კარგი შვილის ხელშია ახლა.

პროკოპკას გააყრუოლა სიხარულისაგან. შჩორსი მკაცრი მეთაური იყო და მის შექებას დიდად აფასებდნენ წითელარმიელები. ამიტომ პროკოპკამ ხმის კანკალით უთხრა:

— გეფიცები, ძია მიკოლა, მე...

უცებ ზედიზედ რამდენიმე ტყვიამ გაიწივლა. შჩორსმა უცებ ჩაღუნა თავი და ბინოკლი ხელიდან გაუვარდა. საიდანღაც მოფრინდა ფრთაწითელი პეპელა, დაჯდა ბინოკლზე, კვლავ აფრინდა და მზის სხივებში გაუჩინარდა.

პროკოპკა მიხოხდა შჩორსთან, ქუდი მოხადა, სახეში ჩახედა. მარცხენა საფეთქლიდან სისხლი მოუონავდა.

— ძია მიკოლა! ძია მიკოლა! — შესძახა პროკოპკამ, მაგრამ შჩორსი არ იძროდა. მაშინ დატრიალდა პროკოპკას თვალწინ ცა და დედამიწა. ბარბაცით ადგა პროკოპკა. საოცარი სიცივე იგრძნო ტანში და დაიყვირა პროკოპკამ:

— შჩორსი მოჰკლეს! მოჰკლეს-ე-ს!..

—შჩორსი მოჰკლეს! დივიზიის მეთაური მოჰკლეს! — ჩაირბინა შავმა ცნობამ სანგრებში.

— ტა... ტა... ტა... ტა...—სწორედ ამ დროს ალაპარაკდა ყივონოგის ტყვიამფრქვევი.

„აი. ახლა შესძახებდა ძია მიკოლა: წინ! ვაშაა!..“—გაუელვა პროკოპკას—და გაიმართა წელში.

და იგრძნო პროკოპკამ, იგრძნო მთელი თავისი არსებით, რომ ყველანი მის გვერდით და მის უკან, სწორედ ახლა, ამ წუთს, ამოვარდებიან სანგრებიდან. ასეთი წუთები ხომ ბევრჯერ განუცდია პროკოპკას. და უნდოდა პროკოპკას დაეყვირა რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— წინ! ვაშაა!..

მაგრამ დასწრო ვიღაცამ. იმ ვიღაცამ დაიყვირა:

— ლენინისათვის! უკრაინისათვის! წინ! ვაშაა!..

სანგრებიდან ამოიშალნენ წითელარმიელები და მოლერებული შაშხანებით გაექანენ წინ. მოიმარჯვა თოფი პროკოპკამაც, დაედევნა უფროსებს და შეჰყვირა:

— წინ! ვაშა!..

მტერმა დატოვა სოფელი...

საღამოს კი შჩორსი ესვენა რევკომში. საპატიო ყარაულში არჩევდნენ უშიშართ, ჩინებულ მსროლელთ, რევოლუციისათვის ბრძოლებში გაჭაღარავებულთ.

პროკოპკა მივიდა მაგიდასთან, სადაც ადგენდნენ საპატიო ყარაულის სიას და გამოეჭიმა უფროსს. ითხოვა საპატიო ყარაულში დამაყენეთო.

— მართალია, შენ უშიშარიც ხარ, ჩინებული მსროლელიცა ხარ, მაგრამ ჩვენ პირველ რიგში ჭაღარებს ვაყენებთ საპატიო ყარაულში,—უთხრა პროკოპკას უფროსმა.

მაშინ პროკოპკამ მოიხადა ქუდი.

უშიშართა, ჩინებულ მსროლელთა და რევოლუციისათვის ბრძოლებში გაჭაღარავებულთა წინაშე იდგა უკრაინელი ჭაღარა ბიჭუნა.“

ნახ. გ. თოთიბაძისა

ქარლო ქალაძე

განუყრელი მეგობრები

ბიჭებს ორთქლმავლის ხმა შემოგვესმა
და შემდეგ სუნთქვამ უახლოესმა
თითქოს დაბურულ მთებზე კი არა —
ზედ სასთუმალთან გადაგვიარა.

დილით, ზღვისპირად ვეყარეთ მზეზე,
ვესუტებოდით მკერდით თბილ სილას,
სულ უნებლიეთ წამოვდექ ზეზე
და თვალი უცებ შევავლე დილას!

ვხედავ: ზღვა ჩემ წინ გაშლილა ლურჯად,
ხელმარჯვნივ კლდეებს მკერდები უჩანთ,
და მზე ისრებად გაფანტულ სხივით
ცის მსუბუქ ღრუბლებს სჭრის ალმასივით!

ყრუდ მიტოვებულ ლიანდაგს უკვე
ჩრდილს აფენს ჩუმი შრიალი ხეთა,
ჩვენი ბილიკიც იქითკენ უხვევს,
სწვდება ქვის კიბით მაღლობს, და ვხედავ:

რკინიგზის ღია ბაქანზე მარტო
დგას როგორც უცხო, უმისამართო,
დგას... იგა! დიახ, განა სხვა ვინმე! —
ხარბად გაჰყურებს ზღვის ვრცელ ნაპირებს
და ჩვენს მოძებნას აღარც აპირებს!..

ჩვენ კი მეშვიდე დღე არის, ველით,
შეძახილით და შემართულ ხელით,
მისკენ მივუძღვი ტოლ-ამხანაგებს,
მივქრი და ვატყობ: ღიმილი უკვე
ხმას მართმევს,—აღარ მალაპარაკებს!..

სტუმარს ვეხვევი, ვკოცნი... უმალვე
ღიმილს ბიჭებიც როდი უმალვენ,—
სულის ამოთქმაც აღარ აცალეს,
ხელიდან ბარგი გამოაცალეს,

და მკლავით მკლავებს გადაჭდობილი
ზღვას წარავუდგინეთ ჩვენი ძმობილი!

ბიჭებს თუმც დღემდე ის არ უნახავთ, —
იცნობენ. ჩემგან ბევრჯერ სმენიათ, —
მთები ოცნებით გადაულახავთ
და ნახვის ნატვრა გულს დარჩენიათ.

იცნობენ. ვწერდით წერილებს ხშირად.
ცხოვრობს შორეულ ხოროლის პირად.
იგა ჩვენ თვითონ შევარქვით გვიან,
თორემ ნამდვილათ იგორი ჰქვიან!

მე უკეთ ვიცნობ, ვესტუმრე შარშან
მის ამოქარგულ ველს და ველოდი
დღეს აღფრთოვნებულ ხელების გაშლას
მთებით, ზღვისპირით, საქართველოთი!

იგი დგას მართლაც აღტაცებული,
არტყია ალყად ჩვენი კრებული.
გრძელი შარვალი თითქოს ადინჯებს,
თეთრი პირსახე მზით არ დასწვია;
ჩვენ კი, ზღვისპირად გარუჯულ ბიჭებს,
მაისურებიც აღარ გვაცვია!

და სანამ სტუმარს შინ მივიყვანდეთ,
ავუსრულებდეთ დედაჩემს სურვილს,
ჩვენი შეჯიბრი განსაჯოს, ვანდეთ,—
მოწმე გავხადეთ გაბედულ ცურვის!
უცებ შევებით ტალღებს მხარულითი,
ყვინთვით, კიყინთ და სიხარულით!

დგას იგა, ისევ უღიმის სახე,
ქოჩორაშლილი ქერა თმა შვენის.
ზღვიდან ხანდახან რომ შემოვძახებ,
გამამხნევებელ ძახილით მშველის.

და მეც ხან ღელვას ავყვები ზევით,
ხან ზვირთს კისრულით ქვეშ მოვექცევი,
ხან ტალღა როგორც თავსასუმალი
მაქვს თავქვეშ... ცურვით რომ შევაჯერო
ჩემი ძმაკაცი, ჩემი სტუმარი...

მაგრამ, მკითხველო, მოვნახოთ ჩერო...
ჯერ თვითონ იგა მინდა ავწერო!

მე სიტყვა ღელვით არ დამიშრება,—
შავი ზღვა არის ჩემი მელანი!
ასს დავწერ, ასი თუ წაიშლება, —
მინდა იცნობდეთ იგას ყველანი!..
კარგი ბიჭია, კარგი მოსწავლე,
კარგი ჯუმარდი და მორბენალი!

ქება დიდებით ასე რომ ვხვდები,
არ თქვათ ძმაა და ძმას აზვიადებს, —
თვითონ ისურვებთ გაშალოთ ფრთები,
თვალს რომ შეავლებთ იმის ფრიადებს!

შვიდი წლის იყო რომ გავიცანი,
დღეს კი ჩემსავით თხუთმეტის არი...
მისი სახლ კარიც გაგაცნოთ მინდა, —
შორს მივისწრაფი როგორც ისარი.

მაისი იყო, მაისი, მახსოვს...
ყაყაჩოებით ირიბად ნაქსოვს
ჰგავდა შორი და ვრცელი ტრამალი,
და მიგვაფრენდა როგორც ფრთამალი
შორს ორთქლმავალი მგზნებარე გულით!
მღერით, ხალისით და სიხარულით
აიმაღლებდა ხმას სადგურებთან
და შემდეგ ისევ ჩქარი მარულით
ნაომარ ველებს გაჰგუგუნებდა!

დილით ვესტუმრეთ პატარა სოფელს,
ო, ის მყუდრო და ნათელი დილა
ჩემს თვალში ოდნავ არ ამოშლილა, —
არ დავივიწყებ მას არასოდეს!

თეთრად შეფეთქილ სახლებს პირველად
როცა გავხედეთ,—დავგტოვა სახტად:
ერთმანეთს ჰგავდნენ გასაკვირველად,
გამოსაცნობი სურათი გახდა!

და უხერხულად ადგმული ფეხით
პირდაპირ გაჭრილ გზას დავადექით...
მაგრამ გუმანით იყო ნამდვილად,
რომ ფარატინა ქაღალდის ძალით
სამი სახლ-კარის შემდეგ აღვილად
მასპინძლის ეზო გამოვიცანით!

შევჩერდი. ვის არ გაახარებდა
ბაღი თავისი ლაღი ბუნებით!—
ალუბლის ბაღი დაგვხვდა კარებთან
ტოტებგადმოწვდილ თაიგულებით!

და შედგა დედაც შაკაბიანი,
ჩემი ობლობით გულჩათხრობილი.

შედგა აქ როგორც ლანდი გვიანი,
ხელით ჩემს დაბალ მხარს დაყრდნობილი.

ბაღიდან ვიღაც სახელდახელოდ
შემოგვეგება, გაგვიღო კარი.
ამოქარგული აჩნდა საყელოს
უკრაინული ჩუქურთმის ბწკარი.

შემოგვეგება და ნათელსავით
პირზე ღიმილი გადაეფინა,
თითქოს ესტუმრა სახლს ნათესავი,—
მოსვლა სახლობას გააგებინა.

ჩვენ იგი აღრეც გვიცნობდა თითქოს,
ტკბილი ბაასით გაგვიძღვა მაღლა,
შევაღეთ კარი და შეეხვდი იგორს!
(ჩვენს იგას, როგორც ვეძახით ახლა).

დავსხედით. მყუდრო ოთახში მალე
იგას და იმ ტკბილ მასპინძლის გარდა
გამოჩნდა იგას დიდედა მართა,
ჩრდილივით ჩუმი და მგლოვიარე.

წუთი და უკვე სუფრაზე იდო
კონვერტგახსნილი ბარათი ძველი.
ყველანი ერთად და თითო-თითოდ
ვუცქერდით, მაცნე ის იყო ჩვენი!

საქართველოში ზამთრის ერთ მდუმარ
ღამით მოფრინდა და შეგვიყვარა.
ხოლო მაისი რომ დადგა უმალ
ხოროლის პირად ჩამოგვიყვანა.

დიდედა მართა და იგას მამა
(ხელგაშლილი ახლა შინ რომ მიგვიღო)
ჩვენ უკვე სამი თვის წინად ამავ
ბარათით უცებ მივხვდით ვინ იყო...

გახსოვთ შორეულ ოჯახთა ღელვა,
როდესაც ომი დასრულდა დიდი?
ჰკრებდა დაკარგულთ რადიო-ელვა,
მამის დაკარგვას მეც განვიცდიდი.

მაშინ მოფრინდა ბარათი სწორედ
და მერე თვალი ვერ მოვაშორეთ
ომის ქარ-ცეცხლში მიმალულ გზაკვალს...
ვისწრაფვით მამის თვალნათლივ ნახვას!

და აი, უკვე დიდედა მართა
მოგვითხრობს ამბავს აცრემლებული,
ვზივართ მის ირგვლივ და მეომართა
სულისთქმას ისმენს ჩვენი კრებული.

ვისმინეთ. მთელი დღე ვიბაასეთ,
გავუზიარეთ ერთმანეთს დარდი.
მე შემეკუმშა გული და ასეთ
ვითარებაში საბრალოდ ვჩანდი.

ძნელი ყოფილა ვაება, ძნელი!
და როგორც იყო დავტოვეთ ბინა,
იგორის მამამ მოგვხვია ხელი,
ჩუმად გავედით ხოროლის პირად.

მაღლობთან, სადაც მდინარე უხვევს —
მაისის მთრთოლვარ მწუხრივით მშვიდი,
სადაც მუხების ტოტებში უკვე
წითლად დაეშვა მზის დისკო დიდი,

მე განვიცადე, მე ვნახე გლოვა
სიცოცხლით სავსე გაზაფხულისა,
ცივ ლოდზე მინდვრის ყვავილთა გროვა,
გლოვა უსიტყვოდ მფეთქავ გულისა...

როცა დავხედავ დედის მკრთალ ხელებს,
ყოველთვის მხოლოდ ამ წუთს მახსენებს,—
მახსოვს მოვიდნენ ჩემი ტოლები,
საღამო იყო, მზე კი ქრებოდა.
და დედა უკვე ხელათრთოლებით
მათ ქერა ქოჩრებს ეფერებოდა.

თავდახრილები ვიდექით დიდხანს,
აქ სიტყვით აბა რა უნდა ითქვას.
პირმოკუმული სუნთქვაც დამალეს.
ყრუდ დავყურებდით ძმათა სამარეს!
და ისევ ჩუმი განმარტოებით
მუხებიც იდგნენ დახრილ რტოებით,

რომ, უცებ, ასეთ მდუმარებაში,
ფოთლებშრიალა ტოტმა კი არა—
ფოთლებში ჩიტმა შეიფრთხიალა
და ლაღი ფრენით გაიჭრა ცაში!

ჩვენ გავაყოლეთ თვალები ფრინველს,—
მზის ამოსროლილ სხივებში გაქრა.
როგორც უეცარს და გასაკვირელს
თან წაჰყვა ჩვენი ფაღული ნატვრა.

ვიგრძენ, ჩრდილივით შეირხა დედა,
მე მომიგონა, მე გადმომხედა,
სიამაყით და სიმშვიდით სავსემ
ყვავილი დასდო სამარის ქვაზე.

მიიპყრო ჩემი გულიც იქითკენ,
ყრუდ მითხრა: მამა ამ ლოდქვეშ არი...
და მეც ამაყად ამოვიკითხე
მკვდარ ძმათა შორის კვლავ ჩემი გვარი.

არა, გმირულად ვინც იქ დაეცა
ისევ სულს ითქვამს, არაა მკვდარი!
მათი სიცოცხლე ჩვენ გადმოგვეცა,
ყოველ ჩვენგანის სუნთქვაში არი!

მათი სიცოცხლე კვლავ თვალწინ არი,
ჩვენი თაობაც დაამბობილა,
მათი სიცოცხლე პირმომცინარი
სამარადისო ძმობა ყოფილა!

ჩვენ ვიცით ფრონტი რომ იყო ფართო,
ვიცით ვინც იყო მტრად დასეული,
განა იმ სოფელს იცავდა მარტო,
იქ დაცემული ათასეული!

იქ როცა იგორს იცავდა მამა,
იგორის დედას სწვავდა ჯალათი...
გავიდა დრო და იმ ერთმა წამმა,
ერთად შეგვყარა შორი ბარათით!

ღირს მოსასმენად ჩვენი ამბავი,
ვწერ უკრაინელ ხალხის სიკარგეს...
არ დამიკარგეს მამის საფლავი,
მამის ამაგი არ დამიკარგეს!

და დღესაც მკლავებს ამიტომ ვშლიდი,
საფუძვლად ვთვლიდი საქმეს საგმიროს!..
ამიტომ უკვე შუადღე დიდი
შუქად ეფრქვევა მთელ სანაპიროს!

ძლიერ გავერთეთ ცურვით თამაშით
და დროც გავიდა ამ გართობაში...
შორს აივანზე გადმოდგა დედა,
მიცდის. და მინდა მეც გავახარო:
ჩვენ შორის ახლა იგაა, ვიცით,
ამ სიხარულის ნანატრი წყარო.

ვისწრაფით. ვიწრო ბილიკს ბიჭები,
მივსდევთ ფეხმარდი გადაბიჯებით...
ჩვენი სიმღერა ხევს აპყოლია,
ხმა ჩვენზე ადრე არბის მთაგორებს!
და სტუმრის მოსვლას, ასე მგონია,
დედას კი არა, ცას გააგონებს!

უკრაინაა თუ საქართველო,
ყველგან ჩვენ უნდა გაგვქონდეს ლელო!

უკრაინულად მე თუ მაცვია,
მას ნაბდის ქუდი კახურად ხურავს,
ხოროლთან ბურთი გამიტაცნია,
ის თუ შავი ზღვის ტალღებში ცურავს!

საქართველოში თუ ვიცნობთ იგას,
საყვარელ სტუმრად ჩამოსულს გვიან
ჩემი სახელი იციან იქაც!—
დედისერთა ვარ. ელგუჯა მქვიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მეგობრობის ბარათები

შუადღე გადასული იქნებოდა, როცა ოთახში ზარის ხმა გაისმა. იამ სწრაფად გაირბინა დერეფანში და კარი გააღო. კართან ფოსტალიონი იდგა.

— ია გურული შენა ხარ?

— მე გახლავარ, — მიუგო იამ.

— შენს სახელზე წერილებია, სამი ერთად.

— სამი?! — გაიკვირვა იამ. — საიდან?

— სხვადასხვა ქალაქებიდანაა...

— გმადლობთ, ძია, — მიაძახა იამ უკვე კიბეზე ჩამავალ ფოსტალიონს და კონვერტების თვალიერებით დაბრუნდა თავის ოთახში. პირველი ბარათი გახსნა, მაგრამ ვერ მიხვდა საიდან იყო. აი რა ამოიკითხა ბარათში:

„გამარჯობა, ია!

გაზეთ „ზირკაში“ წავიკითხე შენი წერილი, ვნახე სურათი თქვენი ქალქისა. ძალიან მომეწონა ახალი ქალაქი — რუსთავი. მინდა დაგიმეგობრდე. მე ბევრი მსმენია საქართველოზე, მაგრამ მინდა მეტი ვიცოდე. ჩემი სკოლის პიონერების სახელით მოკითხვა გადაეცი საქართველოს პიონერებს.

ველი პასუხს.

თამარ სჩასტლივეცი.

ქ. კრემენჩუკი. მეშვიდე კლასის მოსწავლე.“

გახარებულმა გოგონამ დანარჩენი კონვერტებიც გახსნა. ეს ბარათებიც უკრაინიდან იყო: ერთი — კიევიდან, მეორე კი — კვლავ კრემენჩუკიდან. ბარათებს ალლა პაგოდინა და მაია შმატკოვა სწერდნენ.

ია ჯერ გაოცდა, მაგრამ მალე მიხვდა, თუ როგორ შეეძლოთ დაჰკავშირებოდნენ უკრაინელი პიონერები მას.

ეს იყო 1953 წლის აგვისტოში. „ნორჩი ლენინელის“ მასალები დაიბეჭდა უკრაინულ პიონერულ გაზეთ „ზირკაში“. სწორედ ამ გვერდში სხვა ქართველ მოსწავლეთა წერილებთან ერთად დაიბეჭდა ქალაქ რუსთავის მეორე საშუალო სკოლის მერვე კლასის ხუთოსანი მოსწავლის ია გურულის წერილიც. ია უკრაინელ პიონერებს მოუთხრობდა საქართველოს ახალგაზრდა ქალაქის — რუსთავის მოკლე ისტორიას, აცნობდა ქართველი პიონერებისა და თავისი სკოლის მოსწავლეთა ცხოვრებას...

ამ დღიდან ია სისტემატურად იღებს წერილებს უკრაინის სხვადასხვა ქალაქებიდან და საპასუხო ბარათებს უგზავნის უკრაინელ მეგობრებს. ახლა ია თავის უბის წიგნში ოცამდე უკრაინელი პიონერის მისამართი აქვს ჩაწერილი. მაგრამ მათ შორის ია ყველაზე ახლოსაა თამარ სჩასტლივეცთან, მაია შმატკოვასთან და ალლა პაგოდინასთან.

თამარ სჩასტლივეცის ოჯახთან იას მთელ ოჯახს აქვს მიწერმოწერა. იას მამა ინჟინერ-ეკონომისტია რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, დედა — დისახლისი. თამარ სჩასტლივეცის მამა სამამულო ომში დაიღუპა, დედამ ფრონტზე წასული ქმარი შეცვალა და კრემენჩუკის ხორცკომბინატში დაიწყო მუშაობა, უფროსი და — პედაგოგია, უმცროსი კი — მეხუთეკლასელი ხუთოსანი მოსწავლე. გასული წლის ოქტომბერში თამარმა იას მოსწერა ერთმანეთთან მიწერმოწერა დაემყარებინათ მათ უმცროს დებს — ნადიას და ინგას, რომლებიც აგრეთვე თავიანთ კლასებში მოწინავე მოსწავლეები და აქტიური პიონერები არიან.

უხარია პატარა ინგას, რომ მისი უკრაინელი ამხანაგი ნადია სჩასტლივეცი მეხუთე კლასშია და მხოლოდ ხუთებზე სწავლობს. ინგამ მას მესამე მეოთხედის ნიშნები და თავისი ფოტოსურათი გაუგზავნა და სთხოვა მასაც გამოეგზავნა სურათი, მისწერა აგრეთვე, როგორი წიგნები მოსწონს მას, რომელია მისთვის ყველაზე საყვარელი ავტორი უკრაინის თანამედროვე მწერალთა შორის და მისი რა ნაწარმოებები აქვს წაკითხული. ნადია და ინგა ახლა ხშირად უგზავნიან ერთმანეთს ბარათებს.

ამას წინათ იამ თავისი მშობლების თანხმობით წერილი გაუგზავნა თამარს და სჩასტლივეცების მთელი ოჯახი საბაფხულოდ სტუმრად დაჰპატიჟა საქართველოში.

ახლა რუსთავის მეორე საშუალო სკოლიდან იას საშუალებით ბევრ მოსწავლეს და პიონერულ რაზმს მეგობრული მიმოწერა აქვს უკრაინელ პიონერებთან, მაგრამ რუსთავის მეორე საშუალო სკოლა გამონაკლისი როდია. უკრაინელ მოსწავლეებთან მიწერმოწერა და მეგობრული კავშირი აქვთ საქართველოს ბევრი სხვა სკოლის პიონერ-მოსწავლეებს. ამ მეგობრული ბარათებით კიდევ უფრო იზრდება და მტკიცდება ქართველ და უკრაინელ პიონერ-მოსწავლეთა მეგობრობა.

დ. გეგენავა

ლევან ასათიანი

ხალხთა ძმურ ოჯახში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წელს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები ხელმით აღნიშნავენ რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს, როგორც თვალსაჩინო მოვლენას, რომელიც დღესასწაულია არა მარტო უკრაინელი და რუსი ხალხისათვის, არამედ, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის.

ქართველი ხალხიც გულწრფელი სიხარულით აღნიშნავს ამ შესანიშნავ ისტორიულ თარიღს. საქართველო მრავალსაუკუნოვანი მეგობრობისა და შრომის ტრადიციებით არის დაკავშირებული არა მარტო დიდ რუს ხალხთან, არამედ გმირული, კეთილშობილური თვისებებით აღფურვილ მოძმე უკრაინელ ხალხთანაც.

ჯერ კიდევ ორი საუკუნის წინ ჩაეყარა საფუძველი ქართველი ხალხის კულტურულ ურთიერთობას უკრაინელ ხალხთან, მის მოწინავე საზოგადოებასთან. მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში თავისი ცხოვრების მეტი ნაწილი უკრაინაში გაატარა ქართული ლიტერატურის დიდმა კლასიკოსმა დავით გურამიშვილმა. ის ცხოვრობდა უკრაინის ქალაქ მირგოროდსა და მის მახლობლად მდებარე სოფელ ხუბოვკაში. აქ შექმნა მან თავისი შემოქმედების უკვდავი ნიმუშები, აქ, სამშობლოდან სამუდამოდ გადახვეწილმა პოეტმა ჰპოვა თავისი მეორე სამშობლო, ახალი მეგობრები, უდიდესი სითბო და სიყვარული უკრაინის მოწინავე საზოგადოებისა. ბოლოს, უკრაინაშივე ჰპოვა დავით გურამიშვილმა თავისი განსასვენებელი ადგილი.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — მე 19 საუკუნის დიდი მწერლები და მოღვაწენი—ილია და აკაკი, რომლებიც დიდად აფასებდნენ დავით გურამიშვილის პოეტურ მემკვიდრეობას, მუდამ ოცნებობდნენ ქართველი კლასიკოსის [illegible]გული საფლავის აღმოჩენაზე. მხოლოდ ჩვენს საბჭოთა [illegible]ში, უკრაინელი ხალხის შეუნელებელი ზრუნვის შედეგად, [illegible] საძლებელი გახდა გურამიშვილის საფლავის აღმოჩენა. [illegible] ამ საფლავზე უკრაინის საბჭოთა მთავრობის მიერ აღმაგ[illegible]ლია საუცხოო ძეგლი, რომელიც საუკეთესოდ გამოხატავ[illegible] უკრაინელი და ქართველი ხალხის საუკუნეობით განმტკიცებულ ძმობას და მეგობრულ კავშირს.

უკრაინელი და ქართველი ხალხის კულტურულ ურთიერ[illegible]თობას განსაკუთრებით ინტენსიური ხასიათი მიეცა დავ[illegible] გურამიშვილის გარდაცვალების შემდეგ. უკრაინელი ხალ[illegible] ცხოვრება, მისი გმირული ისტორია და ლიტერატურა ცხ[illegible]ველ ინტერესს იწვევენ მე-19 საუკუნის ქართველ მოწინ[illegible] მოღვაწეებში. 1860 წელს პეტერბურგში ხდება ახალგაზრ[illegible] ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის შეხვედრა უკრაინის ს[illegible]ხელოვან მგოსან ტარას შევჩენკოსთან. ამ შეხვედრის დრ[illegible] მათი ხანგრძლივი საუბარი ეხებოდა უკრაინელი და ქართ[illegible]ლი მშრომელი ხალხის ისტორიისა და თანამედროვე ცხო[illegible]რების საკირბოროოტო საკითხებს. ეს შეხვედრა სამუდამ[illegible] სამახსოვრო დარჩა აკაკის ცნობიერებაში. შევჩენკოს სახ[illegible] როგორც სოციალურად და ეროვნულად დაჩაგრული ხალ[illegible] ინტერესებისათვის მებრძოლი პოეტისა და მოქალაქის სახ[illegible] სამაგალითო გახდა დიდი ქართველი პოეტისათვის. თავ[illegible] ხანდაზმულობის ჟამს, 1911 წელს, აკაკიმ საგანგებო მოგონ[illegible]ბაში აღწერა თავისი შეხვედრა შევჩენკოსთან და გამოხატა უღრმესი სიყვარული და პატივისცემა უკრაინელი ხალ[illegible] და მისი კულტურისადმი.

მე-19 საუკუნის ქართველი მწერლები და პოეტები დიდ[illegible] ინტერესით ეცნობოდნენ უკრაინული ლიტერატურის საუ[illegible]თესო ნიმუშებს. ისინი თარგმნიდნენ და მშობლიურ ხალ[illegible] აცნობდნენ უკრაინელი მწერლობის გამოჩენილ წარმომდგ[illegible]ნელთა ნაწარმოებებს. 1881 წელს ილია ჭავჭავაძე თავის ჟურ[illegible]ნალ „ივერიაში“ ბეჭდავს ტარას შევჩენკოს პოემის „მუშა ქ[illegible]ლის“ („ნაიმიჩკას“) თარგმანს. ეს თარგმანი ეკუთვნოდა ახალ[illegible]გაზრდა მწერალს ნიკო ლომოურს. უკრაინული მწერლობ[illegible] ნიმუშებს თარგმნიდნენ აგრეთვე ქართველი მწერლები და პოეტები მამია გურიელი (ფაზელი), დომენტი თომაშვილ[illegible], სილოვან ხუნდაძე, განდეგილი (დომინიკა ერისთავი) და სხვ[illegible]ბი. მე-19 საუკუნის მიწურულში და მე-20 საუკუნის დამდეგ[illegible] ქართული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა უკრაინელი მწერ[illegible]ლების: კოტლიარევსკის, შევჩენკოს, ივანე ფრანკოს, ლესი[illegible] უკრაინკას და სხვათა ცალკეული ნაწარმოებები.

დავით გურამიშვილი
ნახატი თამარ აბაკელიასი

თავის მხრივ ქართველი ხალხის ცხოვრება, ქართული კულტურა და ლიტერატურა მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევ[illegible]და უკრაინის მოწინავე საზოგადოებრიობაში.

ცნობილმა რევოლუციონერ-დემოკრატმა პოეტმა პავლ[illegible] გრაბოვსკიმ (1864—1902), ციმბირში გადასახლებულმა, თარ[illegible]გმნა და უკრაინულ პრესაში გამოაქვეყნა ქართველი პოეტ[illegible]ბის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკოლოზ ბარათაშვ[illegible]ლის და რაფიელ ერისთავის ლექსები. მეცხრამეტე საუკუნ[illegible]შივე უკრაინელმა პოეტმა ალექსანდრე ნავროცკიმ თარგმნ[illegible] რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული [illegible] თავები. ეს იყო რუსთაველის პოემის უკრაინულ ენაზე თარ[illegible]მნის პირველი ცდა.

1898 წელს უკრაინის გამოჩენილმა დემოკრატმა მწერალ[illegible]მა მიხეილ კაციუბინსკიმ და მასთან ერთად უკრაინული კულ[illegible]

ტურის მთელმა რიგმა მოღვაწეებმა მხურვალე მისასალმებელი წერილი გამოუგზავნეს ქ. ჩერნიგოვიდან დიდ ქართველ მწერალს ილია ჭავჭავაძეს—მისი მოღვაწეობის 40 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით. ეს წერილი ორი მოძმე ერის სულიერი სიახლოვისა და ძმური მეგობრობის საუკეთესო გამოხატულებას წარმოადგენდა. დედანი ამ წერილისა ამჟამად ინახება ყვარელში, ილია ჭავჭავაძის მუზეუმში.

უკრაინისა და საქართველოს ხალხთა ძმური ურთიერთობის თვალსაჩინო გამოვლინებას წარმოადგენდა ცნობილი უკრაინელი რევოლუციონერ-დემოკრატი მწერლის ლესია უკრაინკას მეგობრობა ქართველ მწერლებთან და მოღვაწეებთან. ლესია უკრაინკა ჯერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში კიევის მოწინავე ქართველი სტუდენტებისაგან გაეცნო ქართული ლიტერატურის ნიმუშებს და მათ შორის რუსთაველის უკვდავ პოემას. 1903 წლიდან 1913 წლამდე ლესია უკრაინკა თავისი ცხოვრების მეტ ნაწილს საქართველოში ატარებს. ამ ხნის განმავლობაში იგი უახლოვდება ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლებს. 1905 წელს ლესია უკრაინკა მოწმე ხდება რევოლუციური მოძრაობისა საქართველოში. თავის პირად წერილებში მშობლებისა და მეგობრებისადმი იგი ამ დროს დიდ თანაგრძნობას უცხადებდა ქართველ მებრძოლებს, კერძოთ, გურიის გლეხობას, რომელიც შეუპოვრად იბრძოდა მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ქართველი მოღვაწეებიდან ლესია უკრაინკა ახლოს იცნობდა კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილს, პედაგოგს და პუბლიცისტს შიო ჩიტაძეს, მწერალ სილოვან ხუნდაძეს და სხვებს.

ლესია უკრაინკას საქართველოში უცხოვრია თბილისსა, თელავსა, სურამსა, ხონსა და ქუთაისში. ყველგან იგი დიდი ინტერესით ადევნებდა თვალს ქართველი ხალხის ცხოვრებას, უდიდეს თანაგრძნობას იჩენდა ხალხის მდგომარეობისადმი. ლესიას. აინტერესებდა ქართული მწერლობა, თეატრი, კულტურა. ის მოსურნე იყო ქართველი და უკრაინელი ხალხის ძმური მეგობრობისა და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ერთობისა.

1913 წელს, მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, ლესია უკრაინკა გარდაიცვალა დაბა სურამში. იმდროინდელმა ქართველმა პროგრესულმა პრესამ ღრმა მწუხარებით აღნიშნა უდროო გარდაცვალება ცნობილი უკრაინელი მწერალი ქალისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე და შემოქმედება შესწირა მშრომელი ხალხის განთავისუფლების საქმეს.

ცხრაასიან წლებში ქართველი მოწინავე საზოგადოება და პრესა მუდამ დიდი ყურადღებით აღნიშნავდნენ უკრაინული კულტურის ღირსშესანიშნავ თარიღებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მხრივ ტარას შევჩენკოს გარდაცვალების თარიღების აღნიშვნა 1911 და 1914 წლებში. ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე, რომელიც თბილისში სახალხო სახლში მოეწყო, მონაწილეობა მიიღო დიდმა ქართველმა მწერალმა აკაკიმ და წარმოთქვა უაღრესად მნიშვნელოვანი სიტყვა.

რევოლუციამდელი მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოძმე უკრაინელ ხალხთან მტკიცე მეგობრული კავშირის განმტკიცების საქმეს. ამ მეგობრობისა და ძმობის ტრადიციამ თავისი დადგირგვინება ჰპოვა ჩვენს სოციალისტურ ეპოქაში, როდესაც საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხები, დიდი რუსი ხალხის წინამძღოლობით, საერთო ძალებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

უკრაინელმა და ქართველმა საბჭოთა მწერლებმა დიდი წვლილი შეიტანეს უკრაინელი და ქართველი ხალხების კულტურულ მონაპოვართა ურთიერთ გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში.

უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა ბრწყინვალედ ითარგმნა უკრაინულ ენაზე ქართული კლასიკური მწერლობის შედევრები—„შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და გურამიშვილის „დავითიანი“. მასვე ეკუთვნის თანამედროვე ქართველი საბჭოთა პოეტების საუკეთესო ნიმუშების თარგმანები.

უკრაინელმა საბჭოთა პოეტებმა პავლო ტიჩინამ, მაქსიმ რილსკიმ, ალექსი ნოვიცკიმ და სხვებმა დიდი შრომა გასწიეს ქართული პოეზიის ნიმუშების უკრაინულ ენაზე გადათარგმნის და პოპულარიზაციის საქმისათვის.

თავის მხრივ ქართველმა საბჭოთა პოეტებმა მშობლიურ ხალხს გააცნეს უკრაინელი ხალხის მწერლობა. ქართულად გამოცემულია საგრძნობი ნაწილი უკრაინელი კლასიკოსების და საბჭოთა პოეტების—ტ. შევჩენკოს, ივ. ფრანკოს, ლესია უკრაინკას, მ. ბაჟანის, ალ. კორნეიჩუკის და სხვათა ნაწარმოებებისა.

ყოველ წელიწადს, 1 აგვისტოს, მირგოროდში, დავით გურამიშვილის საფლავზე ტრადიციულად ეწყობა ხალხმრავალი მიტინგი ქართველი პოეტის ხსოვნის პატივსაცემად. ამავე დღეს სურამში, სადაც აღმართულია ლესია უკრაინკას შესანიშნავი ძეგლი-ბიუსტი და გახსნილია ლესია უკრაინკას სახელობის სახლ მუზეუმი, იკრიბებიან ქართველი მშრომელები, მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგენცია, რათა პატივი სცენ ლესია უკრაინკას ხსოვნას.

მტკიცდება და ძლიერდება ქართველი ხალხის ძმური ურთიერთობა უკრაინელ ხალხთან. საბჭოთა კავშირის ხალხთა უღიდეკი მეგობრობა მრავალეროვანი საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი და მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ყველა წარმატების მთავარი პირობაა.

ლესია უკრაინკა

ქანდაკება თამარ აბაკელიასი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაველ ჟიჩინა

პერეიასლავის რადაზე

რეკავს ზარი, თოვლი ბრწყინავს,
ნიავს ხმები მიაქვს საით...
მოედნისკენ ჩქარობს ხალხი,—
უხმობთ პერეიასლავი.

კიდევ ომი? არა—ძმობა!
ქარი გაშლილ დროშებს კეცავს...
გადიჭროლა მტრედის გუნდმა —
თითქოს ზეცა შეივერცხლა.

გაიღება ტაძრის კარი—
ხალხი ბოგდანს დაინახავს...
მხარგაშლილს და გაღიმებულს
თან რუსეთის ელჩი ახლავს.

შეხეთ, შეხეთ,—ბუტურლინი!
ჩოჩქოლია კარიბჭესთან...
ო, რა დღეა, რა ნათელი,
მას დიდება მოაქვს ჩვენთან...

დავასვენებთ დაღლილ მაჯას,
დაფასდება კაცი კაცად...
და ტკაცუნი ბაირაღთა
ცივმა ქარმა გაიტაცა.

სიჩუმეა, მხოლოდ ისმის
კაზაკების მძლავრი სუნთქვა...
ჰა, სრულდება რაც უნდოდათ,
რაც ოდესღაც ნატვრად უთქვამთ.

ჰა, ბოგდანმა ზე აღმართა
კვერთხი... და ხალხს გადახედა.
— ვხედავ, ყველას გიხარიათ
და მეც ვხარობ თქვენთან ერთად!

რუსმა ხალხმა ხოგვცა ხელი,
მტერს ვუნდოდით დასაკარგად...
ხედავთ? მზეც კი იბადრება,
გაგვინათებს უფრო კარგად.

მე რა გითხრათ, ჩემო ძმებო?
ერთად ვიყოფთ ჭირს და ვარამს,
ბედმა ბაღი აგვიჩეხა,
მწიფე ყანა დაგვიბარა;

მიწას ალბობს სისხლის წვიმა,
გვივარდება სახლში მტერი...
რუსმა კაცმა მოგვცა ხელი—
მხნე, ყველაზე ახლობელი.

ოსმალომ თუ პოლონელმა
ხმალი ჩვენზე მოიქნია...
მოსკოვისკენ საუკუნოდ!
მოსკოვისკენ გზა გვაქვს ღია!

ერთი სისხლი, ერთი ენა...
ძმობას ადრეც ვაპირებდით...
ჩვენი ფიცის მოწმე იყოს
ამ მდინარის ნაპირები.

და გუგუნებს ხალხი, „ვაშას“,
თითქოს გრდემლზე სცემენ უროს:
— მეგობრობა, ერთგულება,
სიყვარული საუკუნოდ!

დგას ბოგდანთან რუსი ელჩი
და ალალად ეღიმება.
ო, რა დღეა! ეს დღე მართლაც
საუკუნოდ ეღირება.

და გუგუნებს ხალხი „ვაშას!“
დღემ ინათა ხვალინდელმა.
თითქოს თვალწინ, თითქოს უკვე
მომავალი ყვავილდება.

მიულოცა რუსმა ელჩმა,
თქვა მღელვარე, თბილი სიტყვა...
ყველასათვის გასაგები
იყო, რაც კი მისგან ითქვა.

გუგუნებდა მოედანი—
თითქოს გრდემლზე სცემენ უროს:
— დე, ცოცხლობდეს მეგობრობა,
ერთგულება საუკუნოდ!

რეკავს ზარი, თოვლი ბრწყინავს,
ნიავს ხმები მიაქვს საით...
მღერის ხალხი, მძლავრად მღერის,
ბორგავს პერეიასლავი.

თარგმნა ოთარ ჭილაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურდღლის ქონი

ერთხელ ბატონი თავის მეეტლე ივანთან ერთად მგზავრობდა. ჯერ ორივენი ჩუმად იყვნენ, მაგრამ გზა ისეთი გრძელი და მოსაწყენი იყო, რომ ბატონმა გადაწყვიტა საუბარი წამოეწყო. სწორედ ამ დროს გზაზე კურდღელი გამოხტა.

— ხედავ, ივან, მე ტყეში კურდღლები მყავს მოშენებული, — დაიწყო ბატონმა, — ასეთები კი არა, როგორიც ეს კურდღელია, გაცილებით დიდები. მე ისინი საზღვარგარეთიდან ჩამოვიყვანე მოსაშენებლად. ერთხელ სანადიროდ წავედი და ათიოდე მარეკი წავიყვანე. რაც კურდღლები იყო სულ ჩემთან მორეკეს. მეც დავუწყე სროლა და ოცდაათამდე მოვკალი. ერთი მაინც ისეთი დიდი იყო, ცხვარს ჰგავდა. ტყავი რომ გავაძრე, ნახევარ ფუთამდე ქონი დაყარა. აი, ასეთი კურდღლები მყავს!

— აბა, ქურნებო, მოუჩქარეთ! — დაუტატანა მეეტლემ ცხენებს! — სულ მალე მივადგებით იმ ხიდს, რომელზედაც შედგებიან თუ არა ცრუპენტელები, მაშინვე ჩაინგრევა.

ეს რომ გაიგონა ბატონმა, უთხრა:

— მაშ, აი, ივან, როგორი კურდღლები არიან! თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, იმ კურდღელს ნახევარი ფუთი ქონი არა, მაგრამ ათი გირვანქა ნამდვილად ექნებოდა.

— გასაგებია, — ეუბნება ივანი, — კურდღელი, კურდღელია.

გზას განაგრძობენ. ბატონი ეკითხება:

— ჩქარა იქნება ის ხიდი, შენ რომ თქვი?

— კი, სულ მალე, — უპასუხებს ივანი.

— იცი რა, ივან? — განაგრძობს ბატონი, — იმ კურდღელს ათი კი არა, ალბათ ასე, სამ-ოთხ გირვანქა ქონზე მეტი არ ექნებოდა.

— მე რა მენეღვლება? — ამბობს ივანი. — სამი იყოს.

იარეს კიდევ ცოტა ხანს; ბატონი ადგილზე ველარ ისვენებდა; ისევ შეეკითხა:

— ივან, ჩქარა იქნება ის ხიდი?

— სულ მალე, — აი, იმ მოსახვევს რომ გავცდებით.

— ჰო, — ამბობს ბატონი, — იცი, ივან, რომ იმ კურდღელს ქონი სულაც არა ჰქონია? შენც იცი კურდღელს რამდენი ქონიც აქვს!

— რასაკვირველია, ვიცი, — კურდღელი, კურდღელია.

უკვე გასცდნენ იმ მოსახვევს საიდანაც ხიდი უნდა გამოჩენილიყო. ბატონი კვლავ ეკითხება:

— მაინც სად არის ის ხიდი, ცრუპენტელებს რომ ჩაენგრევათ ხოლმე?

— ჰოო, — ეუბნება ივანი, — ის ხიდი იმ კურდღლის ქონივით გადნა.

თარგმნა **თ. ჯთვარელიშვილმა**



— ივან, ჩქარა იქნება ის ხიდი?

კარმელუკი და სასტიკი მემამულე

იყო და არა იყო რა, იყო ერთი მემამულე, მშვიდზე უმშვიდესი, წყნარზე უწყინარესი, ტკბილზე უტკბილესი. ლაპარაკობდა მლიქვნელურად, მშვიდად, დიდი ოხვრითა და თავის დაკვრით, მაგრამ გლეხებს ისე ეშინოდათ მისი, როგორც ცეცხლისა და შავი ჭირისა. ზოგჯერ საბრალო გლეხი თავის დროზე სამუშაოდ რომ ვერ გავიდოდა, პანი—მემამულე მოურავს გაგზავნიდა, და იგი გლეხს წაართმევდა სარჩოს მეოთხედს, არც მეტს, არც ნაკლებს. თუ საბრალო გლეხი სამუშაოდ მეორეჯერაც ვერ გავიდოდა, მემამულე სარჩოს ნახევარს წაიღებდა. თუ წინააღმდეგობას ვინმე გაუბედავდა, მაშინ ოჯახში სულ არაფერს დაუტოვებდა. მაგრამ მემამულემ ცემა-ტყეპა, ლანძღვა-გინება არ იცოდა. და ამ წყნარ მემამულეს, ვინ იცის, რამდენი გლეხი გაუუბედურებია, სისხლის ცრემლებით რამდენი აუტირებია, რამდენი ბედკრული ბავშვი დაუობლებია, როცა დედები შიმშილისა და აუტანელი შრომისაგან ეხოცებოდათ!

და აი, ეს მემამულე მღვდელთან გაემგზავრა. საყდარში მღვდელს აღსარება უთხრა და ოთხცხენიანი ეტლით შინ ბრუნდებოდა.

უეცრად ესმის: ტყეში ვიღაცა ყვირის. მემამულემ მიიხედა. ეს დიაკონი იყო საყდრიდან. მორბის, ეძახის: დამიცადეო. მემამულემ ცხენები შეაჩერა. დიაკონი დაეწია და ეუბნება:

— ჩემო ბატონო, მღვდელს დაავიწყდა, მასთან რა ცოდვები აღიარეთ, და აი გამომგზავნა: დაეწიე და ერთხელ კიდევ გითხრასო. მან ხომ უნდა ილოცოს ცოდვების მოსანანიებლად?

მემამულეც ეუბნება:

— ვთქვი აღსარება, რათა ღმერთმა მაპატიოს ჩემი მძიმე ცოდვები. აი რა: ერთხელ როგორღაც წითელ პარასკევს მარხვა გავტეხე, ერთხელ კიდევ უცაბედად კატის კნუტს კუდზე ფეხი დავადგი, ერთხელ კიდევ მეეტლეს სალანძღავი სიტყვა ვკადრე.

— სულ ეს არის, ჩემო ბატონო? — ეკითხება დიაკონი.

— სულ ეს არის, —უპასუხებს მემამულე.

— ეჰ,—ამბობს დიაკონი,—თქვენ, ჩემო ბატონო, კიდევ ერთი პატარა ცოდვა დაგავიწყდათ: თქვენი სიმდიდრე, რაც ობოლთა ცრემლებით მოიპოვეთ.

და მყისვე დიაკონის სამოსი მოიცალა. მემამულემ დაინახა: წინ ედგა უსტინ კარმელუკი, მემამულეთა თავზარის დამცემი და გლეხთა ქომაგი. მემამულემ ყვირილი მორთო. კარმელუკმა კი ჩინარის ტოტებს ხელები ჩაავლო და დაბლა დასწია. კარმელუკი ღონიერი იყო. გადმოღუნულ ხეს თოკი გამოაბა, მისი მეორე ბოლო კი მემამულეს სწრაფად კისერზე მოსდო!

— აბა, აბრძანდით, ჩემო ბატონო, ცაში, დანარჩენ ცოდვებსაც იქ მოინანიებთ, — და ჩინარის კენწეროს ხელი გაუშვა.

მხოლოდ ქარმა დაუსტვინა!

თარგმნა **ირ. ქავჭარაძემ**

ნახ. **შ. ცხადაძისა**

მოკლედ ყველაფერზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი და შევჩენკო

1914 წელს რუსეთის მოწინავე საზოგადოებამ გადაწყვიტა ტარას შევჩენკოს დაბადების 100 წლისთავის აღნიშვნა. მეფის მთავრობამ აკრძალა ყოველგვარი ზეიმის მოწყობა. მაგრამ ხალხმა, შეძლებისდაგვარად, მაინც მოიგონა თავისი საყვარელი მგოსანი. სხვათა შორის, ხუთი საღამო თბილისშიც მოეწყო, რომელსაც, ქართველებთან ერთად, თბილისში მცხოვრები უკრაინელები, რუსები, სომხები და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებიც დაესწრნენ.

საინტერესოა, რომ ამ საღამოს არც, უკვე სნეული და მოხუცებული, აკაკი წერეთელი დაჰკლებია, რომელიც პეტერბურგიდან იცნობდა ტარასს. ღრმად მოხუცებული პოეტი მოწიწებით დაჩოქილა ტარას შევჩენკოს საზეიმოდ მორთულ ბიუსტის წინ.

ხალხის სიყვარული

ვინც ერთხელ მაინც ყოფილა კიევში, მას არასოდეს დავიწყდება ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი. მისი ისტორია მეტად საინტერესოა.

ძეგლის ავტორია რუსი არქიტექტორი მ. მიკეშინი, რომლის პროექტით ძეგლის პედესტალზე უნდა ყოფილიყო ბრინჯაოს სამი ბარელიეფი, პერეიასლავის რადისა და რუსი და უკრაინელი ხალხის მეგობრობის გამომხატველი სურათებით.

მეფის თვითმპყრობელობა და თვით უკრაინის ნაციონალისტური წრეები ყოველგვარ წინააღმდეგობას უწევდნენ ამ ძეგლის აგების საქმეს; ამახინჯებდნენ პროექტს, არ იძლეოდნენ სახსრებს.

ხალხმა მაინც დაუდგა ძეგლი თავის საყვარელ გმირს, იმ შეწირულებათა ხარჯზე, რომელიც ზოგიერთმა დაწესებულებამ და ხალხის ფართო მასებმა გაიღეს. ამ საქმის მოგვარებას 15 წელი დასჭირდა. შეწირულებათა დიდი ნაწილი ცენტრალური რუსეთიდან მიიღეს.

მეფის მთავრობას დაკენებისა და ნაწილობრივ უსახსრობის გამო ძეგლის პროექტი საგრძნობლად გამარტივდა. ძეგლის პედესტალი გრანიტის თლილი ქვისაგან ააგეს ყოველგვარი ბარელიეფების გარეშე.

ქალაქი ხმელნიცკი

წინათ უკრაინაში იყო ქალაქი პროსკუროვი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა უკრაინის გამათავისუფლებელ ბრძოლაში. იგი მრავალგზის იქნა დარბეული და აწიოკებული დამპყრობლების მიერ, მაგრამ



პიონერთა სასახლე ქალაქ ხმელნიცკში

1648-54 წლის ამბებმა ყველაფერს გადაეჭარბეს. პოლონელებმა ქალაქი მთლიანად გადაბუგეს, მოსახლეობა კი თითქმის უკლებლივ ამოწყვიტეს.

გავიდა დრო. პროსკუროვი ხელახლა აშენდა, მაგრამ რევოლუციამდე იგი მაინც პატარა სოფელსა ჰგავდა. მის მრეწველობას წვრილი სახელოსნოები და ერთადერთი, პატარა, შაქრის ქარხანა შეადგენდა.

დღეს ეს ქალაქი ხმელნიცკის სახელს ატარებს და ბევრად გაზრდილი და გამშვენიერებულია. ქალაქში მუშაობს შაქრის, ლუდის, საკონდიტრო, სამკერვალო, ფეხსაცმლის და სხვა ქარხნები.

თუ რევოლუციამდე აქ მხოლოდ სამი სკოლა იყო, ახლა თოთხმეტი საშუალო, ერთი მუსიკალური და სამი საღამოს სკოლაა. გარდა ამისა ქალაქში არის პედაგოგიური სასწავლებელი და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი, 13 ბიბლიოთეკა, პიონერთა სასახლე, კინოთეატრი და ფილარმონია.

კარტოფილის ამღები კომბაინი

1948 წელს უკრაინის მინდვრებზე შეხვდებოდით ახალ მანქანას — კარტოფილის ამღებ კომბაინს, რომელიც საბჭოთა ინჟინრებმა გამოიგონეს. მას ემსახურება 5—7 კაცი და 10-ჯერ უფრო აადვილებს შრომას კარტოფილის ხელით ამოღებასთან შედარებით.

იგი მეტად საინტერესო პრინციპზეა აგებული: მთლიანად იღებს მიწას 20—25 სანტიმეტრის სიღრმეზე და შემდეგ აქედან არჩევს კარტოფილს, რომელიც ამოღებული ნიადაგის მხოლოდ 2%-შეადგენს. კომბაინი ყოველ სეკუნდში 200 კგ მიწას «გადაარჩევს».

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით 1954—55 წლებში ჩვენმა ქარხნებმა 8.000 ასეთი კომბაინი უნდა გამოუშვან.

კარტოფილის ამღები კომბაინი ველად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკრაინელი ნორჩი მოჭადრაკეები

უკრაინაში ჭადრაკის მოყვარული ბავშვებისათვის შექმნილია ყველა პირობა. კიევის, ხარკოვის, ოდესის და სხვა ქალაქების პიონერთა სასახლეებში ჩამოყალიბებულია მოჭადრაკეთა წრეები, სადაც ნაყოფიერი მუშაობა სწარმოებს გამოცდილი ოსტატების ხელმძღვანელობით.

უკრაინის ნორჩ მოჭადრაკეთა გუნდმა უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ადგილი სამჯერ დაიკავა.

მოგვყავს ოდესელი მოსწავლის სტოლიაროვის პარტია მოსკოველ ბობილოვიჩთან, რომელიც გათამაშდა გასულ წელს საბჭოთა კავშირის პირველობაზე.

1. e4 e5 2. ∅f3 ∅c6 3. ♗b5 a6 4. ♗a4 ∅f6 5. 0—0 ∅:e4 6. d4 b5 7. ♗b3 d5 8. de ♗e6 9. ♕e2 [თამაშის ეს სისტემა ცნობილია თეორიაში, როგორც ესპანური პარტიის ღია ვარიანტი. სტოლიაროვი ირჩევს პ. კერესის მიერ რეკომენდებულ გაგრძელებას] 9. ... ♗e7 10. c4 ∅c5 [თუ bc, მაშინ 11. ♗:c4 dc 12. ♕:e4] 11. cd ∅:b3 12. ab ♕:d5 [არ იყო უკეთესი ♗:d5, რადგან 13. ♗d1 და ∅c3 შემდეგ კუს დაბმა დააბრკოლებს შავი ფიგურების განვითარებას] 13. ∅c3 ♕:b3 14. ∅d2 ♖b4 15. ∅:b5 0—0 16. ∅:c7 ∅d4 17. ♖d1! ♗ad8 18. ∅:e6 fe 19. ♔h1 [შავი მხედრის მოულოდნელი ქიშის თავიდან ასაცილებლად] ♗g5 20. ∅e4 ♗:c1 21. ♗:c1 ♖:b2 [თუ ∅b3, მაშინ 22. ♖g4 და არ შეიძლება ∅:c1 23. ∅f6+ გამო].



22. ∅f6+! gf [უმალვე აგებდა ♔h8 23. ♖h5 gf 24. ♗c7 შემდეგ. თუ 23. ... h6, მაშინ 24. ♖g6] 23. ♖g4+ ♔h8 24. ♗c7 ∅f5 [24. ... ♗g8 შემდეგაც თეორები იგებდნენ 25. ♖h4 ♗:g7 26. ♗:g7 ∅:g7 27. ♖:g7 ♖:f6+ და ♖:d8] 25. ♖h5 ∅g7 26. ♖h6 ♗g8 27. ef ♖e5 28. ♗:g7 ♖f5 29. g4 ♖e4+ 30. f3 ♖d3 31. ∅g2 [საჭირო იყო 31. ♗f2, რათა არ დაეშო ♖d2+ 32.♖:d2 ♗:d2+, რითაც შავები შემდეგში არ სარგებლობენ] a5? 32. ♗:g8+ შავები დანებდნენ, რადგან ♗:g8 33. f7 თეორები სულ ცოტა ეტლს იგებენ.

ოსტატობის კანდიდატი ჭადრაკში თ. გიორგაძე



შინაარსი

	გვ
ვ. ბიჩკო — რუსეთს (ლექსი)	1
ი. გრიშაშვილი — საზეიმო (ლექსი)	2
ა. ონელი — ასე მღერის უკრაინა (ლექსი)	2
ნ. რიბაკი — პერეიასლავის რადა (თარგმნა რ. ქებულაძემ)	3
ი. ნონეშვილი — სამაისო (ლექსი)	8
ვ. გორგანელი — წერილი უკრაინელ პიონერებს (ლექსი)	8
რა გადაწყვიტა საკავშირო ალკა XII ყრილობამ	9
დებულება ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩი პიონერების ბავშვთა კომუნისტური ორგანიზაციის შესახებ	11
გრ. ბერძენიშვილი — კოლია (მოთხრობა)	14
ე. კრიჟანოვსკი — კიევი (ფოტო-ნარკვევი)	16
გრ. ზარდალიშვილი — საბჭოთა უკრაინა (წერილი)	18
ი. არისია — ძმურ ოჯახში (ლექსი)	19
რ. ქორქია — თეთრი თმა (მოთხრობა)	20
კ. კალაძე — განუყრელი მეგობრები (პოემა)	22
დ. გეგენავა — მეგობრობის ბარათები (ნარკვევი)	25
ლ. ასათიანი — ხალხთა ძმურ ოჯახში (წერილი)	26
პ. ტიჩინა — პერეიასლავის რადაზე (ლექსი, თარგმნა ო. ჭილაძემ)	26
უკრაინული ხალხური ზღაპრები	29
მოკლედ ყველაფერზე	31
თ. გიორგაძე — უკრაინული ნორჩი მოჭადრაკეები (წერილი)	32
გასართობი	გარეკანის მე-3

გარეკანის პირველ გვერდზე — ბოგდან ხმელნიცკის ძეგლი კიევში — ფერადი ტოტო ფ. ლუკაშისა.

გარეკანის მეორე გვერდზე — უკრაინის სსრ ღერბი.

გარეკანის მესამე გვერდზე — ფოტოეტიუდი „სამი მეგობარი"— ი. ს. ტაბოროვსკისა.

ჟურნალი დასურათებულია მხატვრების: კ. მახარაძის, ვ. ბელეცკაიას, ვ. მესხის, ჯ. ყავლაშვილის, შ. ცხადაძის, დ. ხახუტაშვილის, გ. თოთიბაძის და გ. ფოცხიშვილის მიერ.

ჟურნალ „პიონერი" № 4-ში მოთავსებულ კროსვორდის ჰორიზონტალურ განლაგებაში გამოტოვებულია კითხვა 25. თავსაბურავი.

რედაქტორი რევაზ მარგიანი. სარედაქციო კოლეგია: რ. ელანიძე, გ. ვარდოსანიძე, რ. თაბუკაშვილი, ბ. შელია, ვ. ქელეძე, ბ. ლაბანიძე (პ/მგ. მდივანი), მარიჯანი, გ. ფოცხიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ე. ქარელიშვილი, გ. შატბერაშვილი.

ეს ჟურნალი რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии. Май, № 5, 1954.

Тбилиси, Ленина, 14. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის 14. 1 სართული. ტელ. 3—81—85.

ფფ 02990 ტირაჟი 15.000 გამომც. № 117 სტამბის შეკვ. № 567. პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკა

საბჭოთა უკრაინის ჰიმნი

Текст Павла Тичини
і Миколи Бажана.

Музика групи композиторів
під керівництвом А. Д. Лебединця







ГІМН
Української РСР

Живи, Україно, прекрасна і сильна,—
В Радянськім Союзі ти щастя знайшла,
Між рівними рівна, між вільними вільна,
Під сонцем свободи, як цвіт, розцвіла.

Слава Союзу Радянському, слава—
Слава вітчизні народів-братів!
Живи, Україно, радянська державо,
Возз'єднаний краю навіки-віків!

Нам завжди у битвах за долю народу
Був другом і братом російський народ,
І Ленін осяяв нам путь на свободу,
І Сталін веде нас до світлих висот.

Слава Союзу Радянському, слава—
Слава вітчизні народів-братів!
Живи, Україно, радянська державо,
Возз'єднаний краю навіки-віків!

Розіб'ємо всі ми ворожі навали
Народного гніву священним мечем.
Під стягом радянським ми дужими стали
І в світ комунізму велично ідем.

Слава Союзу Радянському, слава—
Слава вітчизні народів-братів!
Живи, Україно, радянська державо,
Возз'єднаний краю навіки-віків!

0'28/60